საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ივნისი პარასკევი 2012 №152 (13 758) ფასი 80 თეთრი



13

## რაფაელ ნადალი სახლში წავიდა

# ესპანეთ ფინალი

ესპანეთი VS იტალია

# ისტორიამ შემობრუნება არ ინება


8

გერმანია-იტალია 1:2. ბალოტელი ანგარიშს ხსნის


4

## საით, ოთარ?

მარცვალაძე კრასნოდარიდან წამოვიდა

## არც დინამო, არც დილა?..


12

## რეფორმა თუ ?



ნაკრების ახალი ნევრი

## კორი ფიშერი



## 50 წელიწადი დიდი ტრიუმფიდან

11

## ქართული ფეხბურთი

● სავარაუდო ტრანსფერი

# ყენია უკვე ზენიტშია



ლევან ყენია

**გუშინ** რუსეთის ჩემპიონი, სანკტპეტერბურგის "ზენიტი" პორტუგალიაში გაფრინდა. "ზენიტს" სეზონისწინა პირველი შეკრება იტალიაში ჰქონდა, ახლა კი მზადებას პორტუგალიის ქალაქ ლაგუშში გააგრძელებს. ჩვენთვის კი ეს ამბავი იმიტომ გახდა საინტერესო, რომ გუშინვე ლევან ყენია გერმანიიდან ასევე პორტუგალიაში გადაფრინდა და "ზენიტს" იქ შეუერთდება.

ალბათ გახსოვთ, წინა კვირაში რომ გაუწყეთ, ყენია "ზენიტის" ინტრესესის სფეროშია მოქცეული და ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება-თქო. ამ ისტორიას წერტილი დასმული ჯერ არ აქვს, თუმცა ფაქტია, რომ საქმე წინ მიდის.

ყენიას ქრონიკული ტრავმიანობის გამო დაახლოებით ორწელიწად-ნახევარი გაუცდა გელზენკირხენის "შალკეში".

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების ეს მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელი ამ ფატალურმა უიღბლობამ ძალიან დააზარალა, თუმცა ყენია არ თმობს და კვლავაც ამბიციურ, წარმატებულ და ფინანსურად ძალიან ღონიერ კლუბში აპირებს გადასვლას.

შევიტყვეთ, რომ ყენიამ და "ზენიტმა" წინასწარ კონტრაქტს უკვე მოაწერეს ხელი. რა თქმა უნდა, ეს ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ ყენია აუცილებლად გახდება "ზენიტის" ფეხბურთელი, მაგრამ ამის დიდი შანსი ნამდვილად არის.

ყენია ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** 24 მაისს თურქეთის ნაკრებთან გამართული ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, თუმცა მოედანზე შესვლის საშუალება მისთვის არ მიუცია. ამ ყველაფერმა ყენიას გულისწყრომა გამოიწვია - ამდენი ხანი გამიცდა, ახალ გუნდში გადასასვლელად ნაკრებში თამაში გამომადგებოდა, მაგრამ ხელი არ შემიწყვესო...

ყენიას **ალექსანდრე ჩივაძემ** უხმო 21-წლამდელთა ნაკრებში, ლევანმა ორჯერ ითამაშა და მწვრთნელის ქებაც დაიმსახურა - მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ არის, მისი თამაშით კმაყოფილი დავრჩიო. და მართლაც, ყენიამ ორ სანაკრებო შეხვედრაში გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა.

ახლა "ზენიტის" ჯერია. პიტერელებმა ყენიას შესაძლებლობები კარგად უწყიან, სხვანაირად საქმე აქამდე არ მივიდოდა. ყენია ჯერ 21 წლისაა და თუ ისევ კოჭმა არ უმუხთლა, ყველაფერი წინ აქვს.

თქმა რად უნდა, რუსეთის საუკეთესო გუნდში მოთამაშე ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებსაც დიდად გამოადგება. **მიგელ დანი, ალექსანდრ კერჟაკოვი, ანდრეი არშავინი**...ასეთ ანსამბლში ყენიას ყოფნა სავსებით რეალური გახდა.

**დავით თავართქილაძე**

● დინამო



ფოტო: fcdinamo.ge

იან პოლაკი



მიხალ რუკავიჩკა

# ჩეხები მოდიან...

საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს, თბილისის „დინამოს" ახალი სეზონისათვის მზადება ივნისის ბოლოს დაეწყოს, ასეთი რამ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არასდროს მომხდარა. ამის მიზეზი კი ყველასათვის ცნობილია — „დინამომ" გასული სეზონი, რბილად რომ ვთქვათ, პირწმინდად ჩააგდო (მარშან ზაფხულში, ევროტურნირებზე ასპარეზობას თუ არ ჩავთლით) და კლუბის ისტორიაში (1990 წლიდან) ყველაზე უარესი შედეგი უჩვენა; ანუ, წლევანდელი ევროტურნირები „დინამოს" გარეშე ჩაივლის და ახალი სეზონისათვის ასე გვიან დაწყებაც ამას უნდა მივაწეროთ. თუმცა, ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბში სერიოზული ცვლილებებია: ქართული მასმედიის წინაშე უკვე წარდგა ახალი მთავარი მწვრთნელი, ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი-უმცროსი**, მალე შევხვდებით ჩვენს ძველ და სასიამოვნო ნაცნობს **დუშან უჰრინ-უფროსს,** ვინც ამჯერად „დინამოს" კონსულტანტი იქნება. რაც შეეხება ახალწვეულ ფეხბურთელებს, უკვე გადაწყვეტილია, რომ „დინამოში" გააგრძელებენ კარიერას **გიორგი სეთურიძე** და **თორნიკე თარხნიშვილი;** „ვიტ ჯორჯიასთან" ჩატარებულ პირველ საკონტროლო მატჩში მონაწილეობა მიიღო სამმა პოტენციურმა ახალწვეულმაც: უგანდის ნაკრების კაპიტანმა **კიზიტომ,** ბრაზილიელმა **ეუდისმა** და მაკედონიელმა **გლიშიჩმა** (ეუდისი ამპლუით თავდამსხმელია, კიზიტო და გლიშიჩი კი მარცხენა მცველები არიან). და აი, გუშინ „დინამოში" კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეული გამოჩნდა: ჩეხური „ლიბერეცის" 23 წლის ცენტრალური მცველი **იან პოლაკი.** ტანმაღალ მცველს (188 სმ) ჩეხეთის ყველა ასაკობრივ და ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, გასულ სეზონში კი „ლიბერეცის" შემადგენლობაში 12 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

პოლაკი პოტენციური ახალწვეულია, აი, მისი თანამემამულე **მიხალ რუკავიჩკა** კი ამიერიდან „დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელად იმუშავებს. 26 წლის ჩეხი სპეციალისტი პრაღის „სპარტას" ახალგაზრდულ გუნდსა და კლუბის სამედიცინო ცენტრში მუშაობდა. „დინამოს" ვებგვერდზე მიხალ რუკავიჩკას კომენტარი გამოქვეყნდა:

„საქართველოსა და „დინამოზე" გარკვეული წარმოდგენა მაქვს, უმეტესად ინტერნეტით. ვიცი, რომ „დინამო" თასების თასს ფლობდა და „სლავიასთან" და „ლიბერეცთან" თამაშებიც მახსოვს. რამდენიმე საათის ჩამოსული ვარ, ჯერ მხოლოდ საწვრთნელი ბაზა ვნახე და ოდნავადაც არ ვაჭარბებ, განცვიფრებული დავრჩი. ასეთ სავარჯიშო პირობებს ბევრი ჩეხური კლუბი ინატრებდა".

**გია გაგოშიძე**

● ზესტაფონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი სპარინგის მოლოდინში

**ავსტრიულ** შეკრებაზე მყოფი "ზესტაფონი" პირველ საკონტროლო შეხვედრას დღეს ჩაატარებს. საქართველოს ჩემპიონის მეტოქე რუმინული "ასტრა" იქნება, ეს მატჩი პატარა ქალაქ შვაცში გაიმართება და თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

ცნობისთვის, პლოეშტის "ასტრამ" გასულ სეზონში რუმინეთის 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილი დაიკავა, მისი მთავარი მწვრთნელი კი ახლო წარსულში რუმინეთის ნაკრების ცნობილი მეკარე **ბოგდან სტელიაა.**

რაც შეეხება "ზესტაფონთან" დაკავშირებულ სიახლეებს, გუნდი უკვე სრული შემადგენლობით ვარჯიშობს. მიკროტრავმები მოიშუშეს **ლევან შარიქაძემ** და **გურამ სამუშიამ.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ევროპის ლიგა

UEFA EUROPA LEAGUE

# ქუთაისურ-რუსთაველი განაცხადები

**ევროპის** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოასპარეზე კლუბებს უეფაში განაცხადების შეტანის ვადა ამოეწურათ. ბუნებრივია, ამ ვადის ამოწურვამდე ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოში განაცხადები ქართულმა კლუბებმაც გაგზავნეს და მათი გაცნობა უინტერესო არ უნდა იყოს. "მეტალურგისა" და "ტორპედოს" საევროთასო შემადგენლობას ფეხბურთელთა სათამაშო ნომრებთან ერთად შემოგთავაზებთ.

### მეტალურგი

მეკარეები: 1. გრიგოლ ბედიაშვილი, 12. ზურაბ ბათიაშვილი, 27. გაბრიელ თებიძე;

მცველები: 2. თორნიკე კაკუშაძე, 4. შალვა ექვთიმიშვილი, 5. ანზორ სუხიაშვილი, 6. გივი კვარაცხელია, 13. გიორგი გავაშელიშვილი, 14. ლაშა ჯაფარიძე, 20. მიხეილ მახვილაძე;

ნახევარმცველები: 3. ირაკლი მაისურაძე, 7. ლუკა რაზმაძე, 8. ზვიად ლობჯანიძე, 10. გიორგი თექთურმანიძე, 15. გიორგი ქავთარაძე, 18. დენის დობროვოლსკი, 19. რევაზ გეწაძე, 22. გიორგი მიქაბერიძე;

თავდამსხმელები: 17. ირაკლი სიხარულიძე, 21. დიმიტრი ტატანაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

### ტორპედო

მეკარეები: 1. მაქსიმე ქვილითაია, 12. ომარ მიგინეიშვილი, 99. დავით კუპატაძე;

მცველები: 3. დავით გამეზარდაშვილი, 4. თეიმურაზ ფარულავა, 6. გიორგი გურული, 13. ლაშა შერგელაშვილი, 33. დათა რიგვავა, 37. ზაზა ჭელიძე, 49. ალექსანდრე კვახაძე;

ნახევარმცველები: 2. ვაჟა ტაბატაძე, 5. ნიკოლოზ ფირცხალავა, 7. მერაბ გიგაური, 10. გიორგი კუხიანიძე, 18. დავით დილმელაშვილი, 19. ელგუჯა გრიგალაშვილი, 20. გივი იოსელიანი, 22. გრიგოლ დოლიძე, 26. გიორგი დათუნაიშვილი, 77. ვალერი ბოლქვაძე;

თავდამსხმელები: 8. ნიკოლოზ საბანაძე, 14. გიორგი ფანცულაია, 30. რევაზ გოცირიძე, 88. ბექა ტულუში.

მთავარი მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

■ ■ ■

"ტორპედოს" მეტოქის, ყაზახური "აქტობეს" განაცხადი უეფას ოფიციალურ საიტზე ჯერ არ დევს "მეტალურგის" მოწინააღმდეგე, ალბანური "ტეუტა" კი ამ შემადგენლობას დაეყრდნობა:

მეკარეები: 1. სულეიმან ჰოხმა, 12. ეგლანდ ჰახო;

მცველები: 2. არიან შეტა, 3. კრისტი მარკუ, 4. ლუის ფერნანდო, 5. რუსტემ ჰოხა, 6. რეხეპ მემინი, 14. ალტინ ჰოხა, 19. ტეფიკ ოსმანი, 20. ჰაკილ იაკუპი, 25. ანდი ბაკიასი;

ნახევარმცველები: 7. ანსი ნიკა, 8. ალბი დოსტი, 11. ბლედარ დევოლი, 18. არბერ ცირბია, 22. ალბანო კაუშაი, 23. ალფრედ დელიალისი, 28. ემილიანო ველიაი, 29. რენატო ჰიშმერი;

თავდამსხმელები: 9. ისა ემინჰაზირი, 13. ლეუტრიმ პაიაზიტი, 16. ენიო პეტრო, 21. ბლედარ მანკანუ.

მთავარი მწვრთნელი: ჰასან ლიკა

■ ■ ■

კლუბებს განაცხადში ახალი ფეხბურთელების დამატება ევროპის ლიგის მსვლელობის დროსაც შეეძლებათ. ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე მოასპარეზე "ზესტაფონისა" და "დილას", ასევე მათი მეტოქეების განაცხადებს უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.

ბოლოს იმ ქართველ ლეგიონერებსაც ჩამოგითვლით, რომლებიც ევროპის ლიგის პირველი ეტაპის მონაწილე კლუბებმა განაცხადში შეიყვანეს:

**გიორგი ლომაია, რევაზ თევდორაძე, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ადამია** (ყველა – ინტერი, აზერბაიჯანი)

**გიორგი ფოფხაძე** (ბაქი, აზერბაიჯანი)

**მამუკა ლონლაძე** (დაუგავა, ლატვია)

**ლევან კორღალიძე** (ზიმბრუ, მოლდოვა)

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროტურნირები. მეტოქე

# ცხადაძე უპირატესობას ზესტაფონს ანიჭებს



აზერბაიჯანული პრესა მკითხველს ყოველდღიურად სთავაზობს სპეციალისტთა კომენტარებს, რომლებიც "ნეფთჩისა" და "ზესტაფონის" მოახლოებულ დაპირისპირებას ეხება. ბუნებრივია, ჩვენი მკითხველისთვის ყველა მათგანი საინტერესო ვერ იქნება, მაგრამ **კახა ცხადაძის** ნააზრევი ამგვარ კატეგორიაში ნამდვილად არ გადის. მოგეხსენებათ, იგი წლებია, აზერბაიჯანში მუშაობს, ბაქოს "ინტერს" წვრთნის და პრინციპულ მეტოქე "ნეფთჩის" ძალიან კარგად იცნობს.

*"ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონია და მის შემადგენლობაში მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები თამაშობენ. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაში შარშანდელი ასპარეზობით ამ კლუბმა დიდი გამოცდილება მიიღო. ეს კი უკვე ნიშნავს იმას, რომ "ზესტაფონს" "ნეფთჩისთან" შედარებით უპირატესობა აქვს. თუმცა "ნეფთჩიც" ძლიერი გუნდია და ვფიქრობ, საინტერესო ბრძოლის მომსწრენი გავხდებით. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდს აქვს"*, - განუცხადა ცხადაძემ "ექსტრატაიმს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# აქტიური ჯერ ერთია: დინამო



**ეროვნული ჩემპიონატის დებულება, საპრიზო ფონდის განაწილება, მართვა – ამ ძირითადი საკითხებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლესი კლუბები მიიწვია, თუმცა გუშინ გამართულ შეხვედრაზე მხოლოდ რვა კლუბის წარმომადგენელი მივიდა: "დინამო", "ტორპედო", "ვიტ ჯორჯია", "მეტალურგი", "კოლხეთი", "სიონი", "დილა" და "მერანი".**

მართვის პროექტი და საშეჯიბრო დებულების ვარიანტი – ფედერაციამ ეს კლუბებს გუშინდელ შეხვედრამდე ჩამოურიგა. ფედერაციის ვებ-გვერდი იუწყება, რომ გუშინდელ შეხვედრაზე წინადადებები და შენიშვნები მხოლოდ "დინამომ" წარმოადგინა და ფედერაციის პრეზიდენტმა კლუბებს აქტიურობისკენ მოუწოდაო.

დღევანდელ შეხვედრაზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ კლუბები პროფლიგის შექმნას ვერ ახერხებენ; მით უფრო, რომ სფფ-მ ჩემპიონატის საპრემიო ფონდი გააორმაგა (2 მილიონი ლარი). წლევანდელ სეზონს სფფ და კლუბები მოსამზადებლად გამოიყენებენ, რათა მომავალი საშეჯიბრო სეზონისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, საჭიროა თუ არა პროფლიგის შექმნა და რა სახით უნდა იარსებოს ამ ორგანომ - იუწყება ფედერაციის ვებ-გვერდი.

მართვის პროექტის მიხედვით უნდა შეიქმნას კლუბების საბჭო, გათვალისწინებულია ლიგის დირექტორის თანამდებობის შექმნაც. რაც შეეხება საპრიზო ფონდს, ფედერაცია კლუბებს საშუალებას აძლევს, რომ თვითონ დაადგინონ ამ თანხის გადანაწილების პრინციპი.

ფედერაციის ხელმძღვანელობა და კლუბები მორიგ შეხვედრას 4 ივლისს გამართავენ.

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# კაჭკაჭიშვილი ზესტაფონში?

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული "ბათუმი" ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა და ურეკშია შეკრებაზე.

"ბათუმს" ჯერ არავინ დაუმატებია, თუმცა ოთხი ფეხბურთელი ჰყავს შეკრებაზე: **პაატა ბალაძე, კაკულია, ბორის გელაჭეიშვილი** და **ერეკლე კილაძე.**

ბათუმელებმა ერთი საკონტროლო შეხვედრა უკვე ითამაშეს, ოზურგეთის "მერცხალი" 6:1 დაამარცხეს. მომდევნო ტესტ-მატჩს "ბათუმი" 30 ივნისს გამართავს თბილისის "ოლიმპთან", 3 ივლისს საჩხერის "ჩიხურას" შეხვდება, ორი დღის მერე კი მარტვილის "მერანს". 7 ივლისს "ბათუმს" "ზუგდიდთან" აქვს დაგეგმილი თამაში, თუმცა ეს ვარიანტი სათუოა.

"ბათუმი" ოფიციალურად ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია, თუმცა გუნდთან ერთად არ არის 24 წლის ცენტრალური მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი.** შევიტყვეთ, რომ ამ ფეხბურთელით საქართველოს ჩემპიონი "ზესტაფონია" დაინტერესებული, თუმცა კაჭკაჭიშვილის ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა.

კაჭკაჭიშვილი ჯერ "დინამო თბილისის" მეორე გუნდის ფეხბურთელი იყო, შემდეგ **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილ "ზესტაფონში" გადავიდა და ამის მერე აღმოჩნდა "ბათუმში". ამ მცველმა კარგად წარმოაჩინა თავი წინა სეზონის პლეი აუტის მატჩებში და არაერთი კლუბის მოწონება დაიმსახურა. როგორც ჩანს, კაჭკაჭიშვილი ყველაზე უფრო "ზესტაფონს" სურს, სადაც მას უკვე კარგად იცნობენ. ფაქტია, რომ ფეროელთა გუნდიდან **გიორგი ონიანის** წასვლის შემდეგ ცენტრალური მცველის პოზიცია "ზესტაფონს" გასაძლიერებელი აქვს.

**დავით თავართქილაძე**

ვიტ ჯორჯია

# გიორგი ჯანელიძე: ალბათ, დავრჩები

**მცირე ხნის წინ "ლელო" წერდა, რომ უკრაინის პრემიერლიგის ლუცკის "ვოლინი" "ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველ გიორგი ჯანელიძით დაინტერესდა. შემდეგ ეს ინფორმაცია უკრაინულმა მედიამაც აიტაცა. ინფორმაციას საფუძველი აშკარად ჰქონდა.**

ეს გარკვეულწილად საქართველოში ჩამოსულმა "ვოლინის" ახალგაზრდული შემადგენლობის მთავარმა მწვრთნელმა, "გაგრას" ყოფილმა თავკაცმა **ანატოლი პისკოვეცმაც** დაადასტურა, მაგრამ თემის განვრცობა არ ისურვა.

ახლახან დასრულებულ სეზონში ჯანელიძე „ვიტ ჯორჯიას" ლიდერი იყო და დიდი როლი შეასრულა, გუნდმა უმაღლესი ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრებშიც გამოიძახეს: შარშან **თემურ ქეცბაიამ** მოლდოვის წინააღმდეგ ათამაშა და იქაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაშინ "ტრანსფერმარკტმა" გიორგის ტრანსფერის 225 000 ევროდ შეაფასა. ნაკრების კანდიდატი თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღებას გაცილებით ნაკლებ თანხად იმედოვნებდა. ჩვენი ინფორმაციით, ლაპარაკი იყო 100-დან 140 ათას დოლარზე.

მაგრამ ვეტერინართა 22 წლის კაპიტანი დღემდე "ვიტ ჯორჯიაშია": *"წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება. „ვოლინთან" პირადად მოლაპარაკება არ მქონია, მაგრამ რადგან იყო ინფორმაცია, ესე იგი, ინტერესი არსებობდა. ფაქტია, რომ არავინ დამკავშირებია. "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება და ახალ სეზონში, ალბათ, ისევ ამ გუნდში დავრჩები"*.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ჯანელიძე

სამზადისი

# ჩაშლილი სპარინგი

ქუთაისის „ტორპედოს" ავსტრიული შეკრება დასრულდა. კლუბის პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად არის და საკუთარი სათამაშო ფორმის პიკს უახლოვდება. მზადებისას, დიდი ყურადღება ეთმობოდა ტექნიკურ-ტაქტიკური ნაკლოვანებების გამოსწორებასა და დაცვიდან შეტევაში სწრაფ და შედეგიან გადასვლას. მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** დონეცკის "შახტართან" მატჩის შემდეგ ყურადღება სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა.

ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მესამეადგილოსანს ბოლო საკონტროლო მატჩი 28 ივნისს გერმანულ „კარლსრუესთან" უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ ეს სპარინგი ჩაიშალა.

"ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, გერმანულ მხარესთან საბოლოო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. სხვა რა გზა იყო - თამაშის ნაცვლად, გეგუჩაძის გუნდმა სალამოს ივარჯიშა და დღეს დილით საქართველოში გამოემგზავრება.

შეგახსენებთ, ქუთაისის "ტორპედომ" ავსტრიულ შეკრებაზე სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა: ალბანეთის „შკენდერბეუსთან" წააგო (0:2), ბუქარესტის „სტიაუასთან" 1:1 ითამაშა და ბოლოს დონეცკის „შახტართანაც" დამარცხდა - 1:2.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროტურნირები

# პირველი ეტაპის მსაჯები ცნობილია

## ევროპის ლიგაზე ვადაჭკორია და სილაგავაც მიიწვიეს

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა იმ მსაჯების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს მოემსახურებიან. მოგეხსენებათ, "ზესტაფონი" და "დილა" ასპარეზობას მეორე რაუნდიდან იწყებენ, შესაბამისად, ჯერ მხოლოდ "მეტალურგისა" და "ტორპედოს" შეხვედრების მსაჯებია ცნობილი.

5 ივლისს ევროპის ლიგის პირველი ეტაპის პირველ მატჩში ქუთაისის "ტორპედო" ყაზახურ "აქტობეს" უმასპინძლებს. ეს შეხვედრა ქუთაისში თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება და მას თურქი არბიტრი **თოლგა ოზქალფა** გაუძღვება.

იმავე ტურნირსა და იმავე დღეს "მეტალურგი" სტუმრად ალბანურ "ტეუტას" დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მისი არბიტრი ირლანდიელი **პედრეიგ სატონი** იქნება.

ცნობილია განმეორებითი შეხვედრების არბიტრთა ვინაობაც: "აქტობესა" და "ტორპედოს" საპასუხო შეხვედრის არბიტრად პოლონელი **ადამ ლიშმანსკი** დანიშნეს, ხოლო "მეტალურგისა" და "ტეუტას" განმეორებით მატჩს სლოვაკი **ვლადიმირ ვნუკი** განსჯის.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველი მსაჯებიც იმუშავებენ. 5 ივლისს ესტონური "ლევადიასა" და ლიტვური "შიაულიაის" შეხვედრას **გიორგი ვადაჭკორია** გაუძღვება, ხოლო 12 ივლისს ლატვიური "მეტალურგსისა" და სანმარინოული "ლა ფიორიტას" მატჩს **ლაშა სილაგავა** განსჯის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# ვუმასპინძლებთ ელიტ რაუნდს?

უეფამ იმ ქვეყნების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ფუტსალის უეფას თასის (ჩემპიონთა ლიგის) ძირითადი ეტაპის ჯგუფურ შეხვედრებს უმასპინძლებენ. ესენია: ჩეხეთი, ლატვია, უნგრეთი, კვიპროსი, სლოვენია და ხორვატია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირითად ეტაპზე წარმატებული გამოსვლის შემთხევვაში, საქართველოს ელიტრაუნდის მასპინძლობის შანსი გააჩნია - ჩვენს ჩემპიონს „იბერია სტარს", რომელმაც ძირითადი ეტაპის ჯგუფს შარშან უმასპინძლა, ამჯერად ელიტ-რაუნდის მიღების პრეტენზია აქვს და უეფაში შესაბამისი განაცხადიც წარადგინა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გრიგალავა კრილიაში აღარ გადავიდა

რუსული მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრების მცველი **გია გრიგალავა** სამარის "კრილია სოვეტოვში" გასინჯვაზე იმყოფებოდა. 22 წლის მცველმა გასული სეზონი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ჩაატარა და 25 მატჩი ჩაატარა.

გრიგალავას წლეულს მრავალი შეთავაზება ჰქონდა. "კრილია სოვეტოვზე" არანაკლებად აქტიურობდა პრემიერლიგის "როსტოვი", მაგრამ ყოფილ კლუბში დაბრუნება არ ისურვა.

გრიგალავამ სამარელთა რიგებში ტოლიატის "ლადას" წინააღმდეგ საკონტროლო შეხვედრის პირველი ტაიმი ითამაშა, მაგრამ შევიტყვეთ, რომ აღარ დარჩა.

მიზეზი? ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა, ფინანსურად ძლიერდება და გარდა ამისა, გრიგალავას კონტრაქტი მომდევნო სეზონში უმთავრდება. კლუბმა გიას გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზა და მანაც ნაცნობ გარემოში თამაში ამჯობინა.

**მერაბ მამულაშვილი**



გია გრიგალავა

ლეგიონერები



# ოთარ მარცვალაძემ კრასნოდარი დატოვა!
## არც დინამო, არც დილა

მოულოდნელი ამბავია – **ოთარ მარცვალაძემ** "კრასნოდარი" დატოვა. როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, გადაწყვეტილება კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **სლავოლუბ მუსლინმა** მიიღო.

... შარშან აპრილში ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" 26 წლის ქართველი თავდამსხმელის მიერ „ტომის" კარში გატანილი მეორე გოლი (მცველს ბურთი ფეხებში გაუტარა და შორეული დარტყმით ცხრიანში შეაგდო) TVGOLO.COM-ის მაყურებლებმა ყოველკვირეულ მსოფლიო გოლების ჰიტ-აღლუმში საუკეთესოდ აღიარეს და მექსიკის ნაკრების ვარსკვლავის, **ჯოვანი დოს სანტოსისა** და ბრაზილიელი ვარსკვლავის, **რონალდინიოს** გატანილებს ამჯობინეს.

ეს მარცვალაძის კარიერის პიკი იყო, რომელსაც მალე სასურველი ტრანსფერიც დაემატა: შარშან, მაისის ბოლოს რუსეთის პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერის გმირი გახდა და „ვოლგაზე" ბევრად ძლიერ „კრასნოდარში" გადავიდა. გარიგების საფასური შემდგომში გახდა ცნობილი – საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეს პრემიერლიგის ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა და ამბიციურმა კლუბმა სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, ნიჟნინოვგოროდელებს კი 2,6 მილიონი ევრო გადაუხადა.

ოთარ მარცვალაძის ტრანსფერი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული აღმოჩნდა. მაგრამ წლეულს ივნისში "კრასნოდარმა" სეზონისთვის სლოვენიაში მზადება რომ დაიწყო, მარცვალაძე გუნდს არ ახლდა.

*"სხვადასხვა მიზეზთა გამო, მარცვალაძე და კიდევ სამი მოთამაშე ინდივიდუალური პროგრამით კრასნოდარში ემზადებიან"* - მაშინ ეს განაცხადა "კრასნოდარის" გენერალურმა დირექტორმა **ვლადიმერ ხაშიგმა**, მაგრამ ქართველი ლეგიონერის დატოვების მიზეზი არ დაუკონკრეტებია.

არადა, ბოლო დღეებია, ვრცელდება ხმები, თითქოს მარცვალაძემ "კრასნოდარი" დატოვა და შესაძლოა, თბილისის "დინამოში" გადავიდეს.

თავად ფეხბურთელმა პირველი ინფორმაცია დაგვიდასტურა, მეორე კი უარყო:

- დიახ, "კრასნოდარიდან" მართლაც წამოვედი.

**- მიზეზი რა გახდა?**

- ტრავმა მართლაც მაქვს, საზარდული მაწუხებს, მაგრამ ეს არ ყოფილა წამოსვლის მიზეზი - მწვრთნელთან ურთიერთობა ამერია და საბოლოოდ, ასეთი გადაწყვეტილება გამომიცხადა. მოულოდნელი და საწყენი ამბავია, მაგრამ რას ვიზამთ. ჩავალაგე ბარგი და წამოვედი.

**- კონტრაქტი გაწყვიტე?**

- ამაზე შევთანხმდით და იმედია, მალე თავისუფალი აგენტი გავხდები.

**- და ამის გამო ამტკიცებენ, რომ თითქოს კარიერას თბილისის "დინამოში" გააგრძელებ? გორის "დილაც" ახსენეს, რომელსაც შენი მენეჯერი მამუკა ჯულელი ეხმარება.**

- არ დაიჯეროთ. საქართველოში დაბრუნებაზე ჯერ არ ვფიქრობ და ამ საკითხზე ჩვენ არც გვილაპარაკია.

**- აბა, სად ითამაშებ?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ახლა თბილისში ვარ, ვმკურნალობ და ვისვენებ.

**მერაბ მამულაშვილი**

# სირაძე ნალჩიკში დარჩა?

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **დავით სირაძე** რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდნილ ნალჩიკის "სპარტაკში" დარჩენას არ აპირებდა და მოქმედი კონტრაქტი გაწყვიტა.

30 წლის გამოცდილ თავდამსხმელს საკმაოდ ბევრი წინადადება ჰქონდა, მაგრამ თბილისის "დინამოს" ინტერესი ინტერესადვე დარჩა. თავად არ ისურვა სხვა ქართულ კლუბში და აზერბაიჯანის უმდიდრეს კლუბში, ლენქორანის "ხაზარში" გადასვლა.

სწორედ მაშინ გავრცელდა ცნობა, რომ შესაძლოა, სირაძე "სპარტაკში" დაბრუნებულიყო. რა დასამალია და, ამის დაჯერება გაჭირდა, მაგრამ "სპორტ-ექსპრესის" წერილმა დაგვარწმუნა.

რუსული გაზეთის ცნობით, დასრულებული სეზონის შემდეგ გუნდში 12 ფეხბურთელი დარჩა – ნალჩიკის "სპარტაკში" ითამაშებს საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **დავით სირაძე**. ყაბარდო-ბალყარეთის კლუბში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება 24 წლის ფლანგის ნახევარმცველმა **გუჯა რუხაიამაც**, რომელმაც გასულ სეზონში პრემიერლიგაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ამჟამად კლუბი თურქეთში ემზადება და ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გიორგი ჭიაბრიშვილი | **გ. ონიანი (დილა), შ. გრიგალაშვილი (?),** ნინამძღვრიშვილი (მოლდე, ნორვეგია), გ. ბერაია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ს. ლომია (მერანი), ჭანკოტაძე (სიონი, იჯარით) | **სარდალიშვილი, კიკნაველიძე** (ორივე გაგრა, იჯარა დაუმთავრდათ), კაჭკაჭიშვილი (ბათუმი) | 11 ივნისიდან - ზესტაფონში<br>26 ივნისიდან - ავსტრიაში |
| მეტალურგი<br>კობა ჟორჟიკაშვილი | **სეთურიძე (დინამო),** მოდებაძე (დილა), ზ. ჭელიძე (ტორპედო), ს. თოდუა (ბაია), ხოხონიშვილი (?) | **სუხიაშვილი,** კაკუშაძე (ორივე მერანი), ზ. ლობჯანიძე (სპარტაკი), ჰოსმანი (ხორვატია) | 9 ივნისიდან - რუსთავში<br>16 ივნისიდან - სლოვენიაში<br>**ოლიმპია (სლოვენია)- 1:0, რიეკა (ხორვატია ) 0:1, ზარია (უკრაინა) 0:1, გოვერლა (უკრაინა) 0:1** |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | **თარხნიშვილი (დინამო),ფეიქრიშვილი (?), დ. ჯანელიძე (?), კემუხტაშვილი (?), მირცხულავა (?)** | **ე. გრიგალაშვილი (მერანი), ტულუში (კოლხეთი ფ),** გიგაური (იაგელონია, პოლონეთი, იჯარა დაუმთავრდა), ზ. ჭელიძე (მეტალურგი), სიჭინავა (კოლხეთი ფ) | 1 ივნისიდან - ქუთაისში<br>**იმერეთის ნაკრები - 5:3, 6:1**<br>16 ივნისიდან - ავსტრიაში<br>**შკენდერბეუ (ალბანეთი) 0:2, სტიაუა (რუმინეთი) 0:0, შახტარი (უკრაინა) 1:2** |
| დინამო<br>დუშან უჰრინი (უმცროსი) | **თომაშვილი (დილა), გრიშიკაშვილი (კარიერა დაასრულა), ჰომოლა (?), ლომიძე (?),** კოშკაძე (ბაია), ოდიკაძე (?), ხიზანეიშვილი (?), გოგუა (?) | **დუშან უჰრინი (მთ, მწვრთნელი) თარხნიშვილი (ტორპედო), სეთურიძე (მეტალურგი), ლეკვთაძე (დილა, იჯარა დაუმთავრდა), ჩაფიძე, გაბაშვილი (სპარტაკი, იჯარა დაუმთავრდათ),** კიზიტო (უგანდა), ეუდისი (ბრაზილია), გლიშიჩი (მაკედონია), პოლაკი (ჩეხეთი) | 24 ივნისიდან - თბილისში<br>**ვიტ ჯორჯია 0:0**<br>5 ივლისიდან - ბაკურიანში |
| დილა<br>თემურ შალამბერიძე | **ლეკვთაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა),** პ. ხორგუაშვილი (?), ნ. ნოზაძე (ჩიხურა), ჯიქია (?), ქარქუზაშვილი (?), გოგინაშვილი (?) | **თომაშვილი (დინამო), გ. ონიანი (ზესტაფონი), შაშიაშვილი (ერგოტელისი, საბერძნეთი), დ. კვირკველია (ანორთოსისი, კვიპროსი), მოდებაძე (მეტალურგი), გორელიშვილი (რუბინი, დუბლი),** ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), გვალია (კოლხეთი ფ), კაციტაძე (სიონი), მამუჩიშვილი (სპარტაკი) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>15 ივნისიდან - ავსტრიაში<br>**სარაევო (ბოსნია) 1:3, ჩერნომორეცი (უკრაინა) 1:2, ჰარტბერგი (ავსტრია) 3:0** |
| კოლხეთი<br>დავით მახარაძე | **ტულუში (ტორპედო),** სიჭინავა (ტორპედო), გვალია (დილა), ბოიომო (ბაია), წურწუმია (?), ნადირაშვილი (ბაია) | შ. კვანტალიანი (გაგრა), იობაშვილი, ჩალაძე (ორივე - მერანი) | 25 ივნისიდან - მარტვილში |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | **ე. გრიგალაშვილი (ტორპედო), მანწკავა (სომხეთი), სუხიაშვილი,** კაკუშაძე (ორივე - მეტალურგი), **იობაშვილი, ჩალაძე (ორივე კოლხეთი),** დიდავა (?), ბოხუა (?), გ. შენგელია | ს. ლომია (ზესტაფონი), ნ. ნოზაძე (დილა), კვერენჩხილაძე (გურია), ც. ბუკია (კოლხეთი ხ), მჭედლიშვილი (ლოკომოტივი) | 25 ივნისიდან - მარტვილში |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | კაციტაძე (დილა), დ. ბოლქვაძე (ბაია) | — | 25 ივნისიდან - ბოლნისში |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | | ტეტუნაშვილი (სპარტაკი), ლიბრაძე (მეშახტე) | 15 ივნისიდან - მცხეთაში<br>**დინამო 0:0** |
| ბაია<br>ოთარ გაბელია | სიხარულია (?), სომხიშვილი (ჩიხურა) | **ო. გაბელია (მთ. მწვრთნელი),** რ. ონიანი (გურია), ბოიომო (კოლხეთი, ფ), ფიფია (ჩიხურა), დ. ბოლქვაძე (სიონი), ს. თოდუა (მეტალურგი), ნადირაშვილი (კოლხეთი, ფ), ძაგანია (სპარტაკი), კოშკაძე (დინამო) | 29 ივნისიდან - ზუგდიდში |
| ჩიხურა<br>სოსო ფრუიძე | **თევდორაძე (ინტერი, აზერბაიჯანი),** ფიფია (ბაია), ლილუაშვილი (?), იაშვილი (?) | სომხიშვილი (ბაია), გაგა ჩხეტიანი (ისრაელი) | 17 ივნისიდან - საჩხერეში<br>26 ივნისიდან - ურეკში |
| ბათუმი<br>გია გურული | კაჭკაჭიშვილი (ზესტაფონი) | ბალაძე, კაკულია, გელაჭეიშვილი კილაძე | 25 ივნისიდან - ურეკში<br>**მერცხალი 6:1** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ნაკრები

# რუსეთის ნაკრებს ბოროდიუკი მიხედავს...
## ...ზოგადად რუსულ ფეხბურთს კი ტოლსტიხი?

რუსული პრესა სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ალექსანდრ ბოროდიუკი** დაინიშნება – სპეციალისტი, რომელიც რუსეთის ეროვნულ გუნდში ჯერ **გუუს ჰიდინკის**, მერე კი **დიკ ადვოკაატის** თანაშემწე გახლდათ. ეს ცნობა რუსულ პრესაში გუშინ გავრცელდა, წყარო კი ინკოგნიტოდ დარჩენილი, რუსეთის საფეხბურთო კავშირთან დაახლოებული პირია.

ხსენებული ინფორმატორის თქმით, ბოროდიუკის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი თვით **ვლადიმირ პუტინის** დონეზე გადაწყდა და არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებს რუსეთის საფეხბურთო კავშირს.

რაც შეეხება რუსული ფეხბურთის მთავარი მესაჭის ვაკანტურ პოსტს: ჩვენი რუსი კოლეგების ცნობით, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე ყველაზე აქტიურად **ნიკოლაი ტოლსტიხის** კანდიდატურა განიხილება. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ახლა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის დირექტორია, მანამდე კი რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ბოსი გახლდათ.

მიმომხილველთა მტკიცებით, რუსებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უცხოელი სპეციალისტის დანიშვნა აღარ სურთ, რადგან ასეთს სიტუაციის გასაცნობად ძალიან ცოტა დრო ექნება. რუსეთში ყველას, მათ შორის ხელისუფლებასაც მიაჩნია, რომ ბოროდიუკი იდეალური ვარიანტია, რადგან გამოცდილმა და წარმატებულმა რუსმა მწვრთნელებმა (მაგალითად **იური სიომინი** ან **ვალერი გაზაევი**) თავიანთი შესაძლებლობები უკვე ამოწურეს.


რუსეთის ნაკრების მწვრთნელობას ალექსანდრ ბოროდიუკს უწინასწარმეტყველებენ


საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე ყველაზე აქტიურად ნიკოლაი ტოლსტიხის კანდიდატურა განიხილება

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვინ ტასკი, რა ბარსა?
## ბარსელონაში დავიწყებულ შტუტგარტელზე ფიქრობენ...

ჩვენი ესპანელი კოლეგების, კერძოდ გაზეთ „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, „ბარსელონას“ ხელმძღვანელები „შტუტგარტის“ ცენტრალური მცველის, **სერდარ ტასკის** გადაბირებაზე ფიქრობენ. შვაბური კლუბის 25 წლის კაპიტანი 2-3 წლის წინათ ყურადღების ცენტრში იყო, რადგან გერმანიის ნაკრებში თამაშობდა, ახლა კი ბუნდესგუნდში აღარ იძახებენ და ყველას გადაავიწყდა. სამაგიეროდ, ტასკი ბარსელონაში ახსოვთ: 2007/2008 და 2009/2010 წლების სეზონებში სერდარმა „ბარსასთან“ სამ დუელში მიიღო მონაწილეობა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, კატალონიელები შტუტგარტელს მას მერე აკვირდებიან.


გახდება სერდარ ტასკი ლიონელ მესის თანაგუნდელი?

ფაქტია, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** შემცვლელ **ტიტო ვილანოვას** მომავალი სეზონისთვის ერთი ახალი ცენტრალური უკანახაზელი სჭირდება, რაზეც მან ოფიციალურად წარგდენისას ისაუბრა. ფაქტია ისიც, რომ ტასკის, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული, „შტუტგარტთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ ცნობილია, რომ მის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც ტასკის ნებისმიერ დროს შეუძლია კლუბის დატოვება, თუკი მსურველი 10 მილიონ ევროს გადაიხდის.

გერმანული ტაბლოიდი „ბილდი“ წერს, რომ ტასკის „ნიუკასლსა“ და ფლორენციის „ფიორენტინაშიც“ ეპატიჟებიან, მაგრამ მას მხოლოდ ისეთ სუპერგრანდში სურს გადასვლა, როგორიც „ბარსელონაა“. კატალონიელებს ახალი ცენტრალური მცველი დაშავებული **კარლეს პუიოლის** შესაცვლელად სჭირდებათ - ამ უკანასკნელს სერიოზული ტრავმა აქვს. ტასკის კატალონიური გრანდის ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას, რა თქმა უნდა, ვერავინ მისცემს და ფაქტია, რომ ამას ვერც ფეხბურთელი მოითხოვს.

ალსანიშნავია, რომ გერმანული პრესის დაუდასტურებელი ინფორმაციით, „ბარსას“ ხელმძღვანელები კანდიდატად დორტმუნდის „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების მცველ **მატს ჰუმელსზეც** ფიქრობენ, თუმცა ეს უკანასკნელი ტასკიზე მინიმუმ ორჯერ ძვირად ფასობს და ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზიაც ექნება. „ელ მუნდო დეპორტივო“ კი წერს, რომ ტასკისთან ერთად, სერიოზულად განიხილება **დავიდ ლუისის** (ჩელსი) და **ვენსან კომპანის** კანდიდატურებიც.

ტრანსფერი

# ჩორლუკა ბილიჩს მოსკოვში გაჰყვა
## ხორვატიის ნაკრების მცველმა ლოკომოტივთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ხორვატიის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ მარჯვენა მცველი **ვედრან ჩორლუკა**, რომელმაც გასული სეზონი გერმანულ „ლევერკუზენში“ (არენდა) გაატარა, კარიერას მოსკოვის „ლოკომოტივში“ გააგრძელებს. რუსულმა კლუბმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 26 წლის ჩორლუკასთან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და რომ 26 წლის ხორვატი მოსკოვურ კლუბში 2015 წლამდე ითამაშებს.

ალსანიშნავია ისიც, რომ „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ახლა ხორვატიის ნაკრების ან უკვე ყოფილი დამრიგებელი **სლავენ ბილიჩია** და როგორც ირკვევა, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს ჩორლუკას გადაბირება სწორედ ამ უკანასკნელმა მოსთხოვა.

ვედრან ჩორლუკა „ტოტენჰემში“ 2008 წელს, „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა და მაშინ „სპურზს“ მისი ტრანსფერი 14 მილიონი ევრო დაუჯდა. გასულ



სეზონში ის „ლევერკუზენში“ გახლდათ განათხოვრებული, ახლა კი მოსკოვში ითამაშებს. ჯერჯერობით უცნობია, რა დაუჯდათ მოსკოველებს ჩორლუკას ტრანსფერი – ღირებულებაზე ოფიციალურად არაფერი თქმულა.

ატლეტიკო

# დიეგო და ატლეტიკო შეთანხმდნენ?
## მაგათი ბრაზილიელს ვოლფსბურგში ელის


დაბრუნდება თუ არა დიეგო ფელიქს მაგათთან?

როგორც ჩანს, ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** მადრიდის „ატლეტიკოდან“ „ვოლფსბურგში“ არ დაბრუნდება. მოგეხსენებათ, 27 წლის ფლეიმეიკერი მადრიდულ კლუბში განათხოვრების წესით თამაშობდა და რაკი არენდას ვადა ამოეწურა, ხოლო გერმანული პრესა წერდა, „ვოლფსბურგის“ მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** დიეგოს დაბრუნება უნდაო, ბრაზილიელს კარიერის გაგრძელებას ისევ გერმანულ კლუბში უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ახალი ინფორმაციით, დიეგო და „ატლეტიკო“ შეთანხმდნენ და ესპანური კლუბი ახლა მის გამოსყიდვას აპირებს. „ვოლფსბურგი“ დიეგოს სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს და როგორც ირკვევა, „ატლეტიკო“ მზადაა, ეს თანხა გადაიხადოს.

„ვოლფსბურგერ ნახრიხთენის“ ინფორმაციით, დიეგო და „ატლეტიკო“ სამწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ, რომლის მიხედვითაც ბრაზილიელი წელიწადში 4 მილიონ ევროს მიიღებს. გერმანული მხარე ოფიციალურად არაფერს ადასტურებს – ფელიქს მაგათის თქმით, გადაწყვეტილი არაფერია და ის ორშაბათს დიეგოს ვოლფსბურგში ელის. აქვე გეტყვით, რომ „მგლები“ ახალი სეზონისთვის მზადებას სწორედ ორშაბათს იწყებენ.

ამბები

## ჰამბურგს ელმი უნდა, ვან დერ ვაარტი?

მას მერე, რაც **რაფაელ ვან დერ ვაარტი** „ჰამბურგიდან“ წავიდა, ზაფხული ისე არ გადის, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველის ჩრდილოგერმანულ კლუბში დაბრუნებაზე სპეკულაციები არ გავრცელდეს. რამდენიმე დღის წინ, „ჰამბურგის“ ინვესტორმა **კლაუს-მიხაელ კიუნემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კლუბის ხელმძღვანელები ჰოლანდიელის დაბრუნებას არ ცდილობენ, რამაც სპეკულაციების ახალი ტალღა გამოიწვია.


რასმუს ელმი

მის განცხადებას HSV-ს სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** გამოეხმაურა, რომელმაც თქვა, ვან დერ ვაარტის გადმობირებას არ გამოვრიცხავ, მაგრამ რაფაელი ტოპკანდიდატი არ არისო. სამაგიეროდ, ჰამბურგელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ 24 წლის შვედი **რასმუს ელმი** გადაიბირონ. ამ უკანასკნელს „ალკმაართან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და ბუნდესლიგაში გადასვლის სურვილი უკვე გამოთქვა.

## პეტერსენი ვერდერს უახლოვდება


ნილს პეტერსენი

რაკი „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგიდან“ ხორვატი თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი** გადაიბირა (გუშინდელ ნომერში ვწერდით), ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ მიუნხენური გრანდი **ნილს პეტერსენს** ბრემენის „ვერდერს“ დაუთმობს. „ბილდის“ ინფორმაციით, ამ დღეებში „ბაიერნსა“ და „ვერდერს“ შორის მოლაპარაკებები გახშირდა, ფეხბურთელის მრჩეველი **ლარს-ვილჰელმ ბაუმგარტენი** კი აცხადებს, რეკორდმაისტერთან საბოლოო მოლაპარაკებებს პარასკევს (ანუ დღეს) გავმართავო.

„ვერდერს“ პეტერსენის გადაბირება მას მერე უნდა, რაც ბრემენულმა კლუბმა მთავარი გოლეადორი **კლაუდიო პისარო** დაკარგა – როგორც იცით, კარიერას ეს უკანასკნელიც მიუნხენში გააგრძელებს. მანჯუკიჩის ტრანსფერმა კი საბოლოოდ აშკარა გახადა ის, რომ პეტერსენს „ბაიერნში“ აღარ დაედგომება.

„ბილდის“ ცნობით, ბრემენელები პეტერსენს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ და ახლა მთავარი „ბაიერნის“ თანხმობაა. ამას „მუსიკოსების“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსიც** ადასტურებს: *„ჩვენ ჩვენი დავალება უკვე შევასრულეთ და ახლა მიუნხენიდან ველით სიგნალს.“*

## ვორონინს ბუნდესლიგა მოენატრა

უკრაინის ნარების ვეტერან თავდამსხმელ **ანდრი ვორონინს** გერმანიაში თამაში მოენატრა და თანაც, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 32 წლის თავდამსხმელზე რამდენიმე გერმანული კლუბი მართლაც ფიქრობს. თავად ვორონინს მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გადასვლა სურს და „ბილდის“ ცნობით, „გლადბახი“ დაინტერესებულია.

*„15 წლის ვიყავი, როცა „გლადბახში“ გადავედი და ამ კლუბთან ჩემი პირველი პროფესიული კონტრაქტი გავაფორმე. მწვრთნელ ლუსიენ ფავრსაც კარგად ვიცნობ და მიონხენგლადბახური კლუბის ხელმძღვანელებსაც. გამიხარდება, თუ დამიკავშირებიდან და „ბორუსიაში“ გადასვლას შემომთავაზებენ“*, - უთხრა ვორონინმა „შპორტ აინსს“. შეგახსენებთ, რომ „გლადბახი“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.


ანდრი ვორონინი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

● ვარსკვლავი. ოლივიე ჟირუ

# გიგულების იმედად

**მას შემდეგ, რაც "არსენალში" ოლივიე ჟირუს ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ გაირკვა, ფეხბურთელმა "მეთოფეთა" ოფიციალურ სატელევიზიო არხს მისცა ინტერვიუ. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**



- კლუბს ახლა ფეხბურთელთა კარგი თაობა და კარგი გუნდი ჰყავს. ფეხბურთელებს შარშანდელ სეზონში სერიოზული ტრავმები აწუხებდათ, რაც მათ სერიოზულად უშლიდა ხელს სათანადო შედეგების ჩვენებაში. სტაბილურად საასპარეზოდ ეს ძალიან ცუდი წინა პირობაა. ვფიქრობ, რომ "არსენალს" განსაკუთრებული გუნდური სული აქვს. ეს ერთ-ერთი ის ფაქტორი იყო, რის გამოც არჩევანი აქაურობაზე შევაჩერე. მჯერა ამ ფეხბურთელების პოტენციალის და მათი ბრწყინვალე მომავლის. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში რამე ტიტულს აუცილებლად მოვიგებთ. აქ ამის გაკეთება ძალიან ძნელია, რადგან პრემიერლიგაში ბევრი ელიტური კლუბია, მაგრამ ჩემპიონატს განსაკუთრებული შარმი სწორედ ამიტომ აქვს და ამის გამოა, ამდენი გულშემატკივარი რომ ჰყავს. ეს არის მსოფლიოში ყველაზე ძნელი ჩემპიონატი და პროგრესის მიღწევა აქ არც ისე იოლი იქნება. თუმცა ჩემი თავის იმედი მაინც მაქვს. იმისთვის, რომ წარმატებებს მივაღწიო, ყველაფერი მაქვს. სრულად ადაპტაციისთვის გარკვეული დრო აუცილებად დამჭირდება, მაგრამ ამის გამო არ ვნერვიულობ. ვფიქრობ, დიდი პრობლემა არ შემექმნება.

იმ კატეგორიის მოთამაშეთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც უბრალოდ თამაში კი არა, მასზე გავლენის მოპოვება უყვართ. სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ "არსენალის" სტილი შემეფერება. მიყვარს და მეხერხება გოლების გატანა. ჩემი გუნდი კი უამრავ საგოლე მომენტს ქმნის და თუკი თამაში წამივიდა, ეს გუნდზეც დადებითად იმოქმედებს. რა თქმა უნდა აქ ჩემამდეც იყვნენ მაღალი კლასის თავდამსხმელები, რადგან ეს ტოპკლუბია. მესმის, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მომიწევს.

ჩემი აზრით, ევროპის ხუთ უძლიერეს ჩემპიონატს შორის ინგლისის დონით ყველაზე მაღლა დგას. სწორედ ამიტომ ავირჩიე "არსენალი". აქ თითქმის ყველაფერი მომწონს – გულშემატკივრები, სავსე სტადიონები, განსხვავებული მენტალიტეტიც კი. ბედნიერი ვარ, რომ პრემიერლიგის დაჭაშნიკების შანსი მეძლევა. აქ ყველაფერი ფეხბურთის გარშემო ტრიალებს. ფანები თითქოს ახის წევრად გალიარებენ. ისინი ძალიან ემოციურენ და ეს ყველაფერი მათ სისხლში აქვთ. ეს ადამიოვრობენ ფეხბურთით, იკვებებიან ფეხბურთით და მხოლოდ ფეხბურთზე ისვენებენ. სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი განსხვავება ინგლისელსა და ფრანგ ფანებს შორის. ამ გუნდში ახალი გამოცდები მელის. "არსენალში" ვითამაშებ იმისთვის, რომ ისტორია დავწერო, საკუთარი თამაშით დავტკბე და სიამოვნება გულშემატკივრებსაც მივანიჭო. ვფიქრობ, პრემიერლიგაში კარგად უნდა მიმიღონ.

● ვარსკვლავი. ფრედი ლიუნგბერგი

# მეთოფის დიდი მოგზაურება

**"არსენალიდან" წასვლის შემდეგ "მეთოფეთა" შვედი ვარსკვლავი, 35 წლის ფრედი ლიუნგბერგი ბედმა ხან სად ატარა, ხან სად, მაგრამ თავად ფეხბურთელის თქმით, ის დღემდე ჭეშმარიტ არსენალელად რჩება. ვეტერანმა ფეხბურთელმა ინტერვიუ ინგლისურ პრესას მისცა.**

- "არსენალი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ამჟამად ლონდონში ვცხოვრობ და აქაურობას ხშირად ვსტუმრობ, რადგან აქაურობა ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ურთიერთობას ჩემს ძველ თანაგუნდელებთან დღემდე ვინარჩუნებ. ერთმანეთთან ჩვენ დღემდე ძალიან ბევრი საერთო გვაქვს. სხვათა შორის, ამას წინათ მიუნხენში იენს ლემანს შევხვდი. ვიცი, რომ ბიჭები ერთმანეთს ხშირად ეკონტაქტებიან. ახლანდელი გუნდის ყურება მსიამოვნებს. ამ ეტაპზე ის საკმაოდ ახალგაზრდულია და აქვს შანსი, რომ სულ უფრო და უფრო უკეთ ითამაშოს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ გუნდმა რამდენიმე კარგი ფეხბურთელი იყიდა, მისი მომავალი კიდევ უფრო ნათელ ფერებში მოჩანს.

პეტ რაისი (*არსენ ვენგერის ყოფილი თანაშემწე, "არსენალში" 44 სეზონი გაატარა. რედ*) ფეხბურთიდან წავიდა. ის აქცენტს უფრო მცველებთან მუშაობაზე აკეთებდა და უკანახაზელებს ძალიან ეხმარებოდა პროფესიულ ზრდაში. მაგალითად ის, რომ ეშლი კოული ტოპკლასის მცველია, პეტის დიდი დამსახურებაა. მას დიდი როლი ჰქონდა ყოველთვის ნახევარდაცვის გამართულად მუშაობაშიც და ვენგერის სამწვრთნელო შტაბის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან წევრად რჩებოდა. ის შეუდარებელი იყო. ჩვენს გუნდში სწორედ პეტ რაისმა ითამაშა განსაკუთრებული როლი ფრანგული და ინგლისური ფეხბურთის ჰარმონიულ სიმბიოზში. მისი დახმარებით ყველაფერი ისე მუშაობდა, როგორც საათის მექანიზმი.



ფრედი ლიუნგბერგი

როცა სათამაშოდ ჯერ ამერიკაში წავედი და მერე იაპონიაში, მომეცა შესანიშნავი შანსი, შემესწავლა განსხვავებული კულტურები, გამეცნო ახალი ხალხი. სწორედ ამით ვიყავი დაკავებული მას მერე, რაც "არსენალიდან" წავედი. იმ გამოცდილებას, რაც ამ ქვეყნებში მივიღე, შეუფასებლად მივიჩნევ.

ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზეა და ფეხბურთის თამაშს ჯერ კიდევ ვაპირებ. თუმცა ყველაფერი მხოლოდ ჩემზე დამოკიდებული არ არის. მაქვს რამდენიმე წინადადება, რომელთაც ივლისში უნდა ვუპასუხო. ეს კიდევ ერთი ახალი თავგადასავალი იქნება ჩემთვის. ჩემი ცხოვრებით თავად ძალიან კმაყოფილი ვარ.

● ჰოლანდიის ნაკრები

# ვინ ჩაიბარებს ჰოლანდიას?



ბერტ ვან მარვიიკმა ჰოლანდიის ნაკრები დატოვა

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულმა დირექტორმა **ბერტ ვან ოსტვენმა** დაადასტურა, რომ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებელი თამაშის გამო თანამდებობა დატოვა. ეს ნაბიჯი რომ არა, ჰოლანდიური ფეხბურთის მმართველები მას მაინც დაატოვებინებდნენ პოსტს, რადგან "ნარინჯისფრები" ესპანეთისა და გერმანიის მერე ტურნირზე გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატებად განიხილებოდნენ. *"ვან მარვიიკმა ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწია 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამას გარდა, მისი ხელმძღვანელობით გუნდი ფიფას რეიტინგს სათავეში მოექცა. ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მისი მადლობლები ვართ. მართალია, განშორების გამო გული გვწყდება, მაგრამ საჭიროა, რომ რეალისტები ვიყოთ,"* – განაცხადა ვან ოსტენმა. ჟურნალისტები კომენტარისთვის 60 წლის სპეციალისტსაც დაუკავშირდნენ. მან მოკლე განცხადება გააკეთა: *"დიდხანს ვფიქრობდი, გადამედგა თუ არა ეს ნაბიჯი და ბოლოს გადავწყვიტე, რომ ასე უფრო ლოგიკური იქნებოდა"*. ნება მოგვეცით, ვან მარვიიკის გულწრფელობაში დავეჭვდეთ, რადგან ჯერ კიდევ 48 საათით ადრე ის ახალ სანაკრებო კონტურებზე ლაპარაკობდა და ნაკრებიდან ხუთი ფეხბურთელის (**იორის მატაისენი, ხალიდ ბულაჰრუზი, ჯონი ჰეიტინგა, რაფაელ ვან დერ ვაარტი, კლაას იან ჰუნტელაარი**) გაძევებაზეც კი გაავრცელა ინფორმაცია.

ვან მარვიიკი ჰოლანდიის ნაკრებს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით, 2010 წლის მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ციკლი გუნდმა ქულადაუკარგავად გაიარა, ფინალურ ეტაპზე კი გადამწყვეტ მატჩამდე მიაღწია, სადაც ესპანეთთან 1:0 დამარცხდა. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი მისმა გუნდმა კვლავ ერთი ამოსუნთქვით გაიარა, მოიგო რა 10-დან 9 თამაში, თუმცა ჯგუფურ ეტაპზე "ნარინჯისფრებმა" 3-დან 3 თამაში დათმეს.

რაც შეეხება მის პოტენციურ შემცვლელებს: **რონალდ კუმანმა** და **ფრანკ დე ბურმა**, შესაბამისად, "ფეიენოორდისა" და "აიაქსის" დატოვებაზე უკვე უარი თქვეს. "დე ტელეგრააფმა" კი გამოკითხვა დაიწყო, სადაც გულშემატკივართა 24% ეროვნულ გუნდში **ლუის ვან გაალის** დაბრუნებაზე თანახმაა.

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრენდან როჯერსი

### ლივერპული 8 მილიონს იხდის

ERCAFUTBOL.COM-ის ინფორმაციით, "ლივერპულმა" კრასნოდარის "კუბანს" 8 მილიონი ევრო შესთავაზა კოტ'დივუარელ თავდამსხმელში, 21 წლის **ლასინა ტრაორეში**. ინიციატივა "წითლების" ახალ მთავარ მწვრთნელ **ბრენდან როჯერსს** ეკუთვნის. მას ფეხბურთელის გადაბირება ჯერ კიდევ "სუონსიში" მუშაობის პერიოდში სურდა, მაგრამ უელსურ კლუბს მაშინ ფული არ ეყო ტრანსფერის გასაჩარხად. საქმეს ახლა ის აფერხებს, რომ ფეხბურთელს რუსულ კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს. უცნობია, დათანხმდება თუ არა "კუბანი" შეთავაზებას. ტრაორეს შეძენა "ზენიტსა" და "ანჟისაც" სურთ.

### ჩელსი: იოვეტიჩი და პიშჩეკი

"დეილი სტარის" ინფორმაციით, "ჩელსი" არ კარგავს იმედს, რომ "ფიორენტინადან" ჩერნოგორიელ ვარსკვლავს, 22 წლის **სტევან იოვეტიჩს** გადაიბირებს. ლონდონური კლუბი მზადაა, 15 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, მაშინ როცა "იები" მასში 25-ს ითხოვენ. მხარეთა წარმომადგენლები ჯერჯერობით პირისპირ არ დამსხდარან. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი ალბათ ამ დღეებში შედგება. "ფიორენტინასთან" იოვეტიჩის კონტრაქტი 2016 წლის 1-ელ ივლისს იწურება.

"ჩელსის" კვალიფიციური მარჯვენა მცველის შეძენა სურს. ამისთვის "ლურჯები" "დორტმუნდს" დაუკავშირდნენ და **ლუკაშ პიშჩეკის** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. 27 წლის პოლონელს გერმანელებთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს. რურელებს ჩემპიონთა ლიგის წინ წამყვანი ფეხბურთელების ტრანსფერებზე სიტყვის გაგონებაც არ სურთ. "დეილი მეილის" დასკვნით, "ჩელსის" ლუკასის შეძენა ძალიან გაუჭირდება.

### ბალოტელი იტალიაში არ დაბრუნდება

**მარიო ბალოტელის** იტალიაში დაბრუნებაზე აპენინური პრესა ხშირად წერს. როგორც ჩანს, ჭორებს არავითარი რეალური საფუძველი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებს 21 წლის ფეხბურთელის სახელგანთქმული აგენტი **მინო რაიოლა** – აი, რას ამბობს ის: *"მარიო იტალიაში სათამაშოდ არ დაბრუნდება. "მანჩესტერ სიტიმ" უკვე დაადასტურა, რომ თავისი ინიციატივით ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენებას არ აპირებს. ბალოტელი კი, თავის მხრივ, სამშობლოში ფინანსური კრიზისის დასრულებამდე არ აპირებს თამაშს. ყოველ შემთხვევაში მას არ უთხოვია, რომ რომელიმე იტალიური კლუბის წინადადება ერთად განგვეხილა. მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთში 100%-ით რამის გამორიცხვა არ შეიძლება"*.

### კომბუარე არაბეთში წავიდა

"პარისენ-ჟერმენის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, 48 წლის **ანტუან კომბუარე** სამუშაოდ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში წავიდა. მან "ალ ჰილიალემთან" 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სპეციალისტი საამიროებში საცხოვრებლად უახლოეს დღეებში უნდა გადაბარგდეს. კომბუარეს 2011 წლის ბოლოს პარიზული კლუბიდან დათხოვნის შემდეგ აღარსად უმუშავია და მხოლოდ საფეხბურთო ლიგა 1-ის მატჩების სატელევიზიო ანალიზით იყო დაკავებული.

### იობოს სტამბოლში დარჩენა სურს

"ევერტონის" ნიგერიელ მცველ **ჟოზეფ იობოს**, ვინც ბოლო 2 სეზონი იჯარით თურქულ "ფენერბაჰჩეში" გაატარა ლივერპულში დაბრუნებას კარიერის სტამბულში გაგრძელება ურჩევნია. "ფენერბაჰჩეში" გადასვლა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რაც კარიერის განმავლობაში მიმიღია. აქ იმიტომ მოვედი, რომ ტიტულების მოპოვება მსურდა. ის, რომ 2011 წელს თურქეთის ჩემპიონობა და თასი მოვიგე, ამან აქაურობა კიდევ უფრო შემაყვარა. იმედი მაქვს, რომ კლუბი ჩემს ტრანსფერს საბოლოოდ გამოისყიდის. თურქულ ლიგაში ბევრად მეტი ყურადღება ექცევა ტექნიკას. რა თქმა უნდა პრემიერლიგა ბევრად უფრო პოპულარულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქვეყანაში 7 წელი მაქვს ნათამაშები, შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთში ფეხბურთი უფრო მაღალი დონისაა", – განაცხადა 31 წლის ცენტრალურმა მცველმა "ლივერპულ ექოსთან" ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარგის და ცუდის

## საფეხბურთო ევროფორუმის ტენდენციები

ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი მატჩია დარჩენილი და უკვე გვაქვს საშუალება, რომ გადავავლოთ თვალი განვლილ ბატალიებს და გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანოთ. გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს ევრო 2012-ს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც კონტინენტის მიმდინარე პირველობაზე ახალი და საინტერესო არაფერი უნახავთ. ვეცდებით, იმ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რომლებიც სახეზეა და თანაც, არა მარტო მოედნებზე, მის გარშემოც...



მოსაწყენი ტიკი-ტაკა ესპანელებისგან

**დადებითი**

### გუნდების საერთო დონე

ევროპის მომდევნო ჩემპიონატი უკვე 24-გუნდიანი იქნება და როგორც უეფა-ს პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** აცხადებს, პირველ რიგში ეს ნაკრებთა საერთო დონის გათანაბრებით გახლავთ განპირობებული. მუსიე მიშელი სადღაც მართალიც არის, ევრო 2012-ის ოთხი ჯგუფიდან სამი ფაქტობრივად სიკვდილის იყო... მართალია, ნახევარფინალში ევროპული ფეხბურთის გრანდები მოხვდნენ, მაგრამ ნამდვილად არ დარჩენილა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ოთხი გუნდი ორი თავით ალემატებიან სხვებს. მაგალითად, ხორვატიის ნაკრებს რომ ესპანეთისთვის ბოლო წუთებზე გოლი გაეტანა, იტალიის ეროვნული გუნდი დღეს სახლში იქნებოდა და ოთხეულშიც მის ნაცვლად სხვა გუნდი ამოყოფდა თავს; თუნდაც ხორვატია, რომელიც ისე ეთამაშა ევროფორუმის ფინალისტს, რომ მასაც შეეძლო გადამწყვეტ მატჩამდე მიღწევა. რიგ ეპიზოდებში, შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებდა რუსეთის ნაკრები და რომ არა არასტაბილურობა, **დიკ ადვოკაატის** გუნდსაც შეეძლო წარმატების მიღწევა – ვგონებთ, ერთი კონკრეტული მატჩის მოგება სლავებს ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლიათ. იგივე შეიძლება ითქვას ჯგუფში ჩარჩენილ შვედებზე და თუნდაც დანიელებზე.



ევრო 2012 სატელევიზიო ჩვენების კუთხით ნამდვილი გარღვევაა

თავი მხოლოდ ორმა გუნდმა შეირცხვინა: ერთი ჰოლანდია გახლავთ, ხოლო მეორე ირლანდია. ნარინჯისფრებს რომ გაცილებით უკეთ შეუძლიათ თამაში, ეს ყველამ კარგად ვიცით, აი კელტებმა კი ნამდვილად გაგვიცრუეს იმედი – ამ გუნდმა ვერც ითამაშა და ვერც პოტენციალი დაგვანახვა. თუმცა, ირლანდია გამონაკლისი იყო და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანობაში გუნდების საერთო დონე თანაბარი და რაც მთავარია, ერთობ მაღალი გახლდათ.

### გოლები

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპის უკანასკნელი შეხვედრა ინგლისსა და იტალიას შორის გაიმართა და სწორედ ეს იყო პირველი დაპირისპირება, რომელიც ნულოვანი ფრით დასრულდა. მართალია, არც ესპანელებსა და პორტუგალიელებს გაუტანიათ გოლი პირველ ნახევარფინალურ პაექრობაში, მაგრამ მთელ ჩემპიონატზე ორადორი ნულოვანი ფრე მაინც ძალიან ცოტაა.

უკრაინა-პოლონეთის მოედნებზე გოლი ბლომად გადის და თანაც, ერთობ ეფექტური... მარტო **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შედევრი რად ღირს, როდესაც ვარდნაში დაურტყა ფრანგებს და ულამაზესი გოლი გაიტანა. შეგვიძლია **მარიო ბალოტელის** გოლი გავიხსენოთ, რომელიც ეფექტური დარტყმით ირლანდიას გაუტანა. მოკლედ, გოლები გადის და ამ მხრივ, გულშემატკივრებს საწუწუნო არაფერი აქვთ.

### ბურთი

ბოლო პერიოდში, დიდ საფეხბურთო ფორუმებზე ბურთებთან დაკავშირებით არაერთი ექსპერიმენტი განხორციელდა, რომელთა უმეტესობამაც აშკარად არ გაამართლა. რა დაგვავიწყებს "ჯაბულანს", თუ "ჯამბულანს", რომელიც ისე იცვლიდა მიმართულებას ჰაერში, ვერც მეკარე იგებდა მის ტრაექტორიას და ვერც მინდვრის მოთამაშეები. მუდმივად იყო პროტესტი ფეხბურთელთა მხრიდან, განსაკუთრებით კი მეკარეები აქტიურობდნენ. პორტუგალიაში 2004 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საერთოდ შეღებეს ბურთი და ვერცხლისფერი მისცეს – შედეგად, ბურთი კარგად არ ჩანდა, რამაც პირველ რიგში, ისევ მეკარეების ინტერესებს დაარტყა. ვერცხლისფერი ბურთი ტელეეკრანიდანაც რთული გასარჩევი იყო, რამაც გულშემატკივართა დიდი ნაწილის საფუძვლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე, ახალი ტანგოთი თამაშობენ, რომელიც თეთრია, კარგად ჩანს და ჰაერშიც ბუნებრივი ტრაექტორიით დაფრინავს. დავიტოვოთ იმედი, რომ საფეხბურთო ფორუმებზე ყოველთვის თეთრი ბურთით ითამაშებენ, რომელსაც "ჯაბულანი", თუ "ჯამბულანი" არ ერქმევა.

### მსაჯობა

ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე მსაჯობის დონე საკმაოდ მაღალია და ამ მოსაზრებას უკრაინელების გარდა, ყველა ეთანხმება. სლავთა პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია, მათი ნაკრები არბიტრთა შეცდომის პრაქტიკულად ერთადერთი მსხვერპლი გახლავთ – მაგრამ სწორედ მაგიტომ, რომ საწუწუნოდ მხოლოდ უკრაინელებს აქვთ საქმე, მსაჯობის საერთო დონეს მაღალი შეფასება უნდა მივცეთ. როგორც უეფა-ს მსაჯთა კომიტეტის ხელძღვანელმა **პიერლუიჯი კოლინამ** განაცხადა, ჯგუფურ ეტაპზე 302 თამაშგარე მდგომარეობა დაფიქსირდა და აქედან, მხოლოდ 13 იყო შეცდომით - ანუ, ლაინსმენები 95.7%-იანი სიზუსტით მუშაობენ, რაც მართლაც რომ შესანიშნავი შედეგია. თანაც, ამ ჩემპიონატზე მსაჯებს არ დაუშვიათ ისეთი ფატალური შეცდომები, როგორსაც წინა ფორუმებზე უშვებდნენ – ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული მაინც 2002 წლის მუნდიალი გახლდათ, როდესაც შავოსნებმა თავზე ხელი აიღეს და უკადრებელი იკადრეს.

### სატელევიზიო ჩვენება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი ნამდვილი გარღვევაა სატელევიზიო ჩვენების კუთხით და ამაში განსაკუთრებით ისინი დაგვეთანხმებიან, ვინც პირდაპირ ტრანსლაციებს HD-ხარისხში ადევნებენ თვალს. ვერ გეტყვით, ზუსტად რამდენი კამერა მუშაობს თითოეულ თამაშზე, მაგრამ ფაქტია, რომ სატელევიზიო პროდუქტს სრულიად ახალი სახით ვიღებთ, რომელიც საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. როგორც უეფა-ს პრეზიდენტმა, მიშელ პლატინიმ განაცხადა, ეს არის ახალი სტანდარტი, რომელიც სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაშიც დაინერგება.

**უარყოფითი**

### მოედნის საფარი

უკრაინელებმა და პოლონელებმა რაღაც ვერ გათვალეს, რადგან ფაქტია, რომ ერთი შეხედვით შესანიშნავ, ულტრათანამედროვე სტადიონებზე, მოედნის საფარი უკეთესის სურვილს ტოვებს. ერთი შეხედვით, ამის შემჩნევა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ უხარისხო მინდვრების გამო უკვე არაერთმა ფეხბურთელმა დაიწუწუნა. მეტიც, ესპანელები სულაც აღშფოთებულნი იყვნენ, ასეთ მინდვრებზე თამაში წარმოუდგენელიაო. ფაქტია, რომ რამდენიმე სტადიონის გაზონმა დატვირთვებს ვერ გაუძლო და მალევე შეილახა – ამ მხრივ, პოლონელებისა და უკრაინელების მიერ გაწეულ სამუშაოს, მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ.

### ტრიბუნები და გულშემატკივრები

კონტინენტის პირველობის უკრაინა-პოლონეთში ჩატარებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და მათი უმთავრესი არგუმენტი ის გახლდათ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში, ცხოვრების დონე ასეთი მასშტაბის ტურნირის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ვერ გეტყვით, ამის ბრალია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩატარებული მატჩების აბსოლუტურ უმრავლესობაზე, ტრიბუნები პირთამდე არ გავსებულა. თქვენ წარმოიდგინეთ, ანალოგიური სურათი გახლდათ ესპანეთი-პორტუგალიის ნახევარფინალურ პაექრობაზე, როდესაც 50 000-იან "დონ ბას არენაზე" 48 000 გულშემატკივარი შეიკრიბა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის ბილეთის შეძენა თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც შეგეძლოთ და არა გადამყიდველთან, არამედ სტადიონის სალაროებში.

გასაგებია, რომ უკრაინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს განვითარების დონით ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც გასაკვირია, რომ 50-მილიონიან ქვეყანაში 50 000 გულშემატკივარი არ მოიძებნა, "დონბას" არენას რომ გაავსებდა – თუმცა, რომელ 50 000-ზეა ლაპარაკი, ნახევარი სტადიონი ხომ ესპანელმა და პორტუგალიელმა ქომაგებმა დაიკავეს. სხვათა შორის, ამ მხრივ, არც პოლონეთში ყოფილა იდეალურად საქმე. არადა, გულშემატკივართა დასწრების თვალსაზრისით, დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში ასეთი პრობლემები არ შექმნილა.

### მოსაწყენი ტიკი-ტაკა

თქმა არ სჭირდება, რომ "ბარსელონამ" და ზოგადად, ესპანელებმა ცნობილი სტილით - ტიკი-ტაკას თამაშით - ფეხბურთი განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტიკი-ტაკამ სპორტის უპირველესი სახეობა კიდევ უკეთესი თვალით დაგვანახვა და როგორც ბევრი აცხადებს, საერთოდ სრულყო. ამიტომ, ვისაც ფეხბურთი უყვარს და დღევანდელ |ბარსელონას", ან ესპანეთის ნაკრებს ადევნებს თვალს, თავი შეუძლია ბედნიერ ადამიანად ჩათვალოს, რადგან გულშემატკივართა თაობები ისე წავიდნენ, რომ მსგავსი არაფერი უნახავთ. მოკლედ, ტიკი-ტაკა საფეხბურთო ზეიმთან, ფიესტასთან ასოცირდება... თუმცა, იქნებ უკვე ასოცირდებოდა კიდეც, რადგან როგორც მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი გვიჩვენებს, ტიკი-ტაკა შეიძლება იყოს მოსაწყენი და თან როგორი მოსაწყენი...

ულამაზესი, საოცარი ფეხბურთიდან, მოსაწყენ სანახაობამდე ერთი ნაბიჯი ყოფილა და დავიტოვოთ იმედი, რომ ესპანელთა გადადგმული ეს მეტად უსიამოვნო ნაბიჯი მხოლოდ ფრაგმენტი იქნება და სექტემბრიდან, ძველებურ ტიკი-ტაკას ვიხილავთ – ისეთს, რომელმაც "ფურია როხა" და მთლიანად, ესპანური ფეხბურთი მსოფლიოს შეაყვარა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



პიერლუიჯი კოლინამ ევროპის ჩემპიონატისთვის მსაჯები კარგად მოამზადა

# 1/2 ფინალი ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი №30. 28.06. ვარშავა. ეროვნული

| გერმანია | იტალია |
|---|---|
| 1 | 2 |

გერმანია (4-2-3-1): ნოიერი – ბოატენგი (71. მიულერი), ჰუმელსი, ბადშტუბერი, ლამი – შვაინშტაიგერი, ხედირა - კროოსი, იოზილი, პოდოლსკი (46. როისი) – გომესი (46. კლოზე).

იტალია (4-4-2): ბუფონი – ბალძარეტი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი – მარკიზიო, მონტოლივო (64. მოტა), პირლო, დე როსი – ბალოტელი (70. დი ნატალე), კასანო (58. დიამანტი).

გოლები: 0:1 ბალოტელი (20), 0:2 ბალოტელი (36), 1:2 იოზილი (90. პენ.)

კუთხური: 14-0; ჯარიმა: 13-19; თამაშგარე: 0-2; კარში დარტყმა: 16(8)-10(4); ბურთის ფლობა: 54%-46%.

გაფრთხილება: ჰუმელსი – ბალოტელი, ბონუჩი, დე როსი, მოტა

არბიტრი: ს. ლანუა (საფრანგეთი)

მაყურებელი: 55 540



ბალოტელიმ გერმანია დახვრიტა

# ისტორიამ შემობრუნება არ ინება

## გერმანია იტალიას ისევ ქვემოდან შეჰყურებს

**გერმანიას** იტალიისთვის აქამდე არასდროს მოეგო ოფიციალური მატჩი და მათ, ვისაც ამ ტრადიციის დარღვევის იმედი ჰქონდათ, გუშინ მორიგი იმედგაცრუება იწვნიეს. წყვილი ისეთი მქუხარე დასახელებისა იყო, ნებისმიერი შედეგი შეიძლებოდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ სპეციალისტთა საკმაო ნაწილი ფავირიტად მაინც გერმანიას მიიჩნევდა. მოედანზე განვითარებულმა მოვლენებმა კი სულ სხვაგვარი სურათის მხილველნი გაგვხადა – იტალია გერმანიაზე უფრო მაღალი კლასის გუნდი აღმოჩნდა და, ვფიქრობთ, ამას ბუნდესგუნდის ყველაზე თავგადაკლული ქომაგებიც კი აღიარებენ.

### ტაქტიკა/სტრატეგია

ორივე გუნდმა ტრადიციული განლაგებით ითამაშა – გერმანიამ 4-2-3-1-ით, ხოლო იტალიამ 4-4-2-ით. გერმანელთა წინა ხაზზე სიახლეები ამჯერადაც ვიხილეთ. ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ **ლუკას პოდოლსკი** და **მარიო გომესი**, მარჯვენა ფლანგიდან კი **ტონი კროოსი** უტევდა, რომელიც აქამდე სასტარტო თერთმეტეულში არ თამაშობდა.

სკუადრა აძურას **ჯორჯო კიელინი** გამოუჯანმრთელდა, მისი შემცვლელი **იგნაციო აბატე** კი სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა. ინგლისთან მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ იტალიელთა ძირითად შემადგენლობაში მეტი არაფერი შეცვლილა.

### საუკეთესო ფეხბურთელი

როცა გუნდს ორი გოლი გააქვს და ორივე ერთი ფეხბურთელის ანგარიშზეა, დუბლის ავტორი ყოველგვარი კამათის გარეშე უნდა დავასახელოთ მატჩის გმირად. **მარიო ბალოტელიმ** იტალიელ ტიფოზებს აბსოლუტურად გაუმართლა მასზე დაკისრებული იმედები და გერმანელთა კარში ორი ერთმანეთზე უკეთესი გოლი გაიტანა. იტალიამ გერმანიას, უპირველესად, გუნდური თამაშით აჯობა, მაგრამ გერმანელთა მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ წინა ხაზში ბალოტელის დონის შემსრულებელი არ აღმოაჩნდა.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში გუშინ უსარგებლო ფეხბურთელები ამოსარჩევად იყო, მაგრამ უფერულად მოთამაშეთა შორის **მესუთ იოზილს** გამოვარჩევთ – განა იმიტომ, რომ ყველაზე უარესი იყო, არამედ იმ მიზეზით, რომ გუნდის ლიდერს სხვებზე მეტი მოეთხოვება. მადრიდის „რეალის“ შესანიშნავმა ნახევარმცველმა ვერც განვლილ შეხვედრებში გაიბრწყინა, უპრინციპულეს დაპირისპირებაში კი ლიდერის თვისებები ოდნავადაც ვერ გამოავლინა და ჩრდილიდან ვერა და ვერ გამოვიდა. მართალია, პენალტი უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ ამას უკვე აღარაფრის შეცვლა შეეძლო.

### მსაჯი

საბედნიეროდ, ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩების მიმოხილვაში აღარ გვიწევს მსაჯების უხეშ შეცდომებზე წერა. დაკისრებულ მოვალეობებს ფრანგმა **სტეფან ლანუამაც** მაღალ დონეზე გაართვა თავი და ყველა საკამათო სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო. სამართლიანი იყო შეხვედრის მიწურულს იტალიელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანიც.

### მწვრთნელთა დუელი

აქ საკამათო არაფერია – **ჩეზარე პრანდელიმ** ევრო-2012-ზე უკვე არაერთი ოპონენტი დაჩაგრა პირწმინდად და მათ სიას უკვე **იოაჰიმ ლიოვიც** შეუერთდა! პრანდელის იტალია შემტევი ფეხბურთით გამოირჩევა და ასე იყო ამჯერადაც. დღეს უკვე ძალიან ცოტა გუნდი თამაშობს ორი თავდამსხმელით, მაგრამ პრანდელიმ **ბალოტელი-კასანოს** წყვილი გუშინაც ეფექტურად გამოიყენა. ლიოვმა კი ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას აშკარა შეცდომები დაუშვა. მას განსაკუთრებით პოდოლსკიმ ვერ გაუმართლა, მაგრამ გუშინდელი მატჩი მხოლოდ მან კი არა, გერმანელთა ყველა შემტევმა ჩააგდო. ისიც საკითხავია, ჰქონდა თუ არა საერთოდ ლიოვს პრანდელის დამარცხების შანსი და რესურსი. უფრო არა...

### ანალიზი

დამარცხებულმა 14 კუთხური მოაწოდა, გამარჯვებულმა კი არც ერთი – ასეც ხდება ხოლმე. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გერმანელებს რაიმე სახის უპირატესობა ჰქონდათ. იტალიელებმა მთავარი საქმე პირველივე ტაიმში გააკეთეს და ბუნებრივი იყო, რომ ამის შემდეგ აქცენტს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთებდნენ.

ბალოტელის შესანიშნავ გოლებს ყველა თქვენთაგანი ნახავდა, მაგრამ მაინც გავიხსენოთ, რომ ანგარიში მან თავურით, **ანტონიო კასანოს** გამოზომილი გადაცემის შემდეგ გახსნა, მეორედ კი იტალიელთა მთავარი მეგოლე დასარტყამ პოზიციაზე **რიკარდო მონტოლივომ** გაიყვანა და საჯარიმოს მისაგომებიდან ბალოტელიმ “ცხრიანში” ისე ძლიერად “გაისროლა”, რომ **მანუელ ნოიერი** სახტად დატოვა.

გერმანულმა შეცვლებმა ბუნდესგუნდი შედარებით გამოაცოცხლა და ლიოვის შეგირდებს მდგომარეობის გამოსასწორებლად ცდა არ დაუკლიათ. ყველაზე დასამახსოვრებელი **მარკო როისის** მიერ შესრულებული ძლიერი ჯარიმა იყო, რომელიც **ჯანლუიჯი ბუფონმა** ჩინებული ნახტომით, ხარიხის დახმარებით მოიგერია.



იოზილის პენალტი

შეხვედრის დასკვნით ნაწილში გერმანელებმა ზურგი ბოლომდე მოიშიშვლეს და იტალიელებს შეეძლოთ, ანგარიში გამანადგურებელი გაეხადათ. საამისო შანსები ხელიდან **კლაუდიო მარკიზიომ** და **ანტონიო დი ნატალემ** გაუშვეს.

მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე **ფედერიკო ბალძარეტიმ** საკუთარ საჯარიმოში ბურთზე ხელით ითამაშა და მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც იოზილმა გამოიყენა. დარჩენილ მცირე დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა და იტალიამ დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

### დასკვნა

იტალიელთა მწვრთნელმა კიდევ ერთ კოლეგას აჯობა, იტალიელთა მეკარემ კვლავ საიმედოდ დაიცვა საკუთარი კარი, იტალიურ დაცვას მორიგმა მეტოქემ ვერ მოუძებნა გასაღები, იტალიურმა ნახევარდაცვამ მოედნის ცენტრში კიდევ ერთი მოწინააღმდეგე დაჯაბნა, იტალიურმა თავდასხმამ კი საგოლე მონაგარი გაზარდა – ყოველივე ეს დიდი გამარჯვების წინაპირობაა, შეიძლება, იმაზე დიდი გამარჯვებისაც კი, ვიდრე ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ანდრეა პირლომ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა



ბარსელონა

# ალბა ბარსელონელია

## სწრაფი, ახალგაზრდა და ადგილობრივი



ამ სეზონში ალექსის სანჩესი და ხორდი ალბა თანაგუნდელები იქნებიან

გუშინ „ბარსელონამ" გამოაცხადა, რომ „ვალენსიასთან" მიაღწია შეთანხმებას **ხორდი ალბას** ტრანსფერის თაობაზე. მარცხენა მცველი უახლოეს დღეებში კატალონიურ გრანდთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ტრანსფერის ოდენობა 14 მილიონი ევროა და ჯერჯერობით ესპანურ ბაზარზე ეს სარეკორდო მაჩვენებელია ამ ზაფხულში.

*„კლუბი აცხადებს, რომ „ვალენსიასთან" შეთანხმება მიღწეულია. ხორდი ალბას ტრანსფერის განხორციელებას წინ მხოლოდ სამედიცინო შემოწმება უდგას, რომელსაც ფეხბურთელი ბარსელონაში მომდევნო კვირაში გაივლის",* - იუწყება კატალონიური გრანდის ოფიციალური ვებგვერდი.

ხორდი ალბა „ბარსასთვის" უცხო არაა, ის კლუბის აკადემიის, „ლა მასიის" აღზრდილია, მაგრამ მან ვერ შეძლო პირველ გუნდში დამკვიდრება და 2005 წელს „ბარსა" დატოვა. იქიდან წასვლის მერე, ალბა „კორნელიაში" და „ხიმნასტიკში" თამაშობდა, 2007 წელს კი „ვალენსიამ" „კორნელიას" 6 ათასი ევრო (!) გადაუხადა მომავალ ვარსკვლავში. ახლა ალბა 14 მილიონზე გაცილებით მეტიც ღირს, მაგრამ მას მხოლოდ 1 სეზონილა აკავშირებდა „ლოს ჩესთან" და ვალენსიელებს რომ არ გაეყიდათ, გაისად კომპენსაციის გარეშე დაკარგავდნენ მას.

ხორდი ალბას ანგარიშზე უკვე 10 მატჩია ეროვნულ ნაკრებში, ევრო 2012-ზე მან „ფურია როხას" სასტარტო მარცხენა მცველის სტატუსი დაიბევა.

### ალბას რომანმა დაასწრო

ერთი დღით ადრე, „ბარსელონამ" გაცილებით ნაკლებად მყვირალა, მაგრამ არანაკლებ საინტერესო ტრანსფერი განახორციელა - „მანჩესტერ სიტისგან" **ხოან ანხელ რომანი** იყიდა და თინეიჯერს გასაყიდი ფასი - 12 მილიონი ევრო დაადო. ბუნებრივია, ახალ სეზონში რომანი „ბარსელონა ბ-ში" ითამაშებს. 19 წლის რომანი **ტიტო ვილანოვას** პირველი შენაძენია, მას სამწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებენ, ოღონდ პირველ წელს სარეზერვოებში გაატარებს. სამი წლის წინათ, რომანი „ესპანიოლიდან" გადავიდა „მანჩესტერ სიტიში" 1,25 მილიონ ევროდ, თუმცა ერთხელაც არ უთამაშია „ქალაქელთა" ძირითად შემადგენლობაში. *„ინგლისში ყოფნამ ფიზიკურად და მენტალურად გამაძლიერა. როცა გავიგე, რომ ჩემით „ბარსა" იყო დაინტერესებული წუთითაც არ მიფიქრია. ყველაფერს გავილებ, რათა ძირითად გუნდში თამაშის უფლება დავიმსახურო",* - განაცხადა ახალგაზრდა ესპანელმა.

### რანდევუ მანიუსთან

კატალონიურმა კლუბმა ამხანაგური მატჩი დაგეგმა - 8 აგვისტოს შვედურ გეტებორგში, „ულევის" სტადიონზე „ბარსა" „მანჩესტერ იუნაიტედს" გაეჯიბრება. მანამდე „ბარსელონა" ამხანაგურად „ჰამბურგს", მაროკოელ ფეხბურთელთა ნაკრებსა და „პარი სენ ჟერმენს" გაეჯიბრება.

### პიკეს დებიუტი

■ სხვათა შორის, პორტუგალიის ნაკრების კარში დარტყმული პენალტი სადებიუტო ყოფილა ბარსელონელი **ჟერარდ პიკესთვის.** აქამდე არასოდეს, არც ერთ ოფიციალურ მატჩში პიკეს თერთმეტმეტრიანი არ დაურტყამს.

■ **ერიკ აბიდალმა** ალდო როვირას პრიზი მოიგო, რომელსაც „ბარსას" სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს აძლევენ ხოლმე. ამ პრიზს აქამდე ზედიზედ ორჯერ **ლიონელ მესი** ფლობდა.

■ კატალონიის სუპერთასი „ბარსელონას" და „ესპანიოლს" შორის 31 ივლისს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### ბექჰი ოლიმპიადაზე არ იქნება

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემი,** როგორც ჩანს, ოლიმპიადაზე არ ითამაშებს. 37 წლის ვეტერანს დიდი იმედი ჰქონდა, რომ **სტიუარტ პირსი** მისთვის ერთ ადგილს აუცილებლად გამონახავდა თავის გუნდში. ოლიმპიადის განაცხადში სულ 18 ფეხბურთელი უნდა იყოს, აქედან მხოლოდ 3 შეიძლება იყოს 23 წელზე უფროსი. პირსმა რა ხანია დაადასტურა, რომ ერთ-ერთი ვეტერანი **კრეიგ ბელამი** იქნება. დანარჩენ ორ ადგილზე კი მას **რაიან გიგზი** და **მიკა რიჩარდსი** ჰყავს შეგულებული, იუწყება "მანჩესტერ ივნინგ ნიუსი". ინგლისური პრესა ბექჰემის გარდა ოლიმპიადაზე წასვლის კანდიდატებად **რიო ფერდინანდს, პოლ სქოულზსა** და **ჯონი ევანსს** ასახელებდა. ცნობილია, რომ პირსს "წითელი ეშმაკების" 2 ფეხბურთელის – **ტომ კლევერლისა** (22 წლის) და **კრის სმოლინგის** (22 წლის) წაყვანა უნდა. ოლიმპიადაზე შეგირდების წასვლას სერ **ალექს ფერგიუსონი** ეწინააღმდეგება.

### შკრტელი მოლაპარაკებებს უარყოფს

ინგლისური მასმედიით ბოლო 2 კვირაა ვრცელდება ინფორმაცია, რომ "ლივერპულის" 27 წლის ცენტრალური მცველი **მარტინ შკრტელი** "მანჩესტერ სიტისთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. სლოვაკმა სტოპერმა ხმები კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ "ენფილდიდან" სხვაგან წასვლა აზრად არ მოსვლია: *"გაზეთები ჩემს მომავალზე ათასგვარ აბდა-უბდას წერენ. მინდა ვთქვა, რომ არც ერთი სხვა კლუბისგან მოლაპარაკებებზე წინადადება არ მიმიღია. ახალ სეზონს გუნდში მოუთმენლად ველი და დარწმუნებული ვარ, რომ მას ბევრად უფრო მაღალ დონეზე ჩავატარებთ, ვიდრე წინას".*

### შირერი ჰოჯსონს არ ეთანხმება

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ალან შირერი** აცხადებს, რომ არ იზიარებს ნაკრების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელის **როი ჰოჯსონის** ოპტიმიზმს. ევრო 2012-დან გამოვარდნის შემდეგ "სამი ლომის" თავკაცმა თქვა, რომ ის ამაყობს მისი გუნდის მიერ მიღწეული შედეგით. ალანი კი აცხადებს, რომ კუნძულელთა თამაშში მოსაწონი ვერაფერი ნახა და რომ ორი წლის შემდეგ ჰოჯსონის გუნდს ისევ არ ექნება შანსი მსოფლიოს ჩემპიონატზე. *"არ ვაპირებ ჰოჯსონს რამეში ბრალდება წავუყენო, მაგრამ ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებ, რომ გუნდს შეუძლია სამშობლოში ამაყად თავაწეული დაბრუნდეს. ცუდია, როცა შინ დაბრუნებული იმაზე იწყებ ლაპარაკს, რომ ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას შეეცდები. რეალობა ისეთია, რომ ჩვენ ამის შანსი საერთოდ არ გვექნება,"* – განაცხადა შირერმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

Oxford MEDICAL

არ გადადო, დროულად მოირჩინე პროსტატის ადენომა!


ვიტალი ბერიშვილი
უროლოგი

უროლოგია
■ პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
■ ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
■ პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

გინეკოლოგია
■ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა. კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
■ პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
■ მედიკამენტოზური აბორტი

პროქტოლოგია
■ ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
■ სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

კოსმეტოლოგია
■ ეპილაცია
■ მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

დერმატოლოგია
■ კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (გადიდება) მამაკაცის ასაკის მატებასთან დაკავშირებული დაავადებაა. სიცოცხლისთვის საშიში არ არის და ძირითადად შარდვის გამოყოფის (ნაკადის შესუსტება, ღამით შარდვა და სხვ) გაძნელებით ვლინდება, რაც ასაკოვან მამაკაცთა ცხოვრების ხარისხზე უარყოფითად აისახება. უმრავლესობა მამაკაცთა აზრით თითქმის ყველა მამაკაცს აქვს პროსტატის ადენომა. სინამდვილეში ავადდება ყოველი მე 5-6 მამაკაცი, თანაც დაავადება ვლინდება მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილში. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პროსტატის ადენომა, ჩატარებული სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა (ექიმის კონტროლის ქვეშ) იძლევა ძალიან კარგ სასურველ სტაბილურ შედეგ. ხოლო გართულების შემთხვევაში (ძირითადად მკურნალობის დაგვიანების შედეგად) როგორიცაა შარდის შეკავება, სისხლიანი შარდი გარდაუვალი ხდება ოპერაციული მკურნალობა. დროულად მიმართეთ ექიმს რათა თავიდან აიცილოთ არასასურველი გართულებები.

**როდის**
გქონდათ ბოლოს სექსუალური კონტაქტი?
ჩაიტარეთ ბოლოს პროფილაქტიკური გამოკვლევა უროლოგთან ან სექსოლოგთან?
დაუსვით შეკითხვა თქვენს თავს ხომ არ გაქვთ ქლამიდოზი, მიკოპლაზმოზი, კანდიდოზი, ტრიქომონიაზი ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადება?იცით **იცით თუ არა რომ**
B ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც.

**თქვენ**
გაქვთ სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება?
დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სექსუალური პარტნიორები „სტერილური" და ჯანმრთელები არიან?

**გსურთ**
დაივიწყოთ ინფექციები და ანთებითი პროცესები?
გაიუმჯობესოთ სექსუალური პოტენციალი?
დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სრულფასოვანი ცხოვრება?
ჩაიტაროთ სრული გამოკვლევა და მკურნალობა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან?

**შეგიძლიათ**
არ იყოთ გაურკვევლობაში ყოველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ!
გაიაროთ სრული გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოთ დროული მკურნალობა!
გაიგოთ თქვენი პრობლემების მიზეზი და შეძლოთ მათი მოგვარება!
არ დაკავდეთ თვიმკურნალობით, საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკის "ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას" სპეციალისტები მზად არიან მოაგვარონ თქვენი პრობლემები!

Oxford MEDICAL
229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

საჩუქრების სერია დაიწყო!
ჩერნიგოვსკოე ახალი გემოთი!

გაიგრილეთ ზაფხული "ჩერნიგოვსკოე"-სთან ერთად!
ჩაერთეთ აქციაში 1 ივლისიდან - 1 ოქტომბრამდე და თქვენ უამრავი საჩუქარი გელოდებათ!

* შეაგროვეთ ლუდი "ჩერნიგოვსკოე"-ს 1 ან 2 ლიტრიანი ბოთლის 10 ცალი თავსახური, წარადგინეთ საფოსტო განყოფილებაში ან ლოტოს ჯიხურებში და საჩუქრად მიიღეთ 30 წუთი სასაუბრო დრო "ბილაინი"-ს ქსელში. გადაფხიკეთ ბარათი, აკრიფეთ *108*ნომერი# და OK

* ეს ყველაფერი არ არის! დააგროვეთ 150, 300 ან 600 "ბილაინი"-ს წუთი თვის განმავლობაში და გახდით კეპის, მაისურის, ბურთის ტელევიზორის, "ევროპარკი"-ს ბილეთის და კიდევ მრავალი პრიზის მფლობელი.

* დააგროვე ყველაზე მეტი "ბილაინი"-ს სასაუბრო დრო 1 თვის განმავლობაში და მიიღე პრიზი - 2000 ლარი.

* გსურთ სუპერ პრიზის მფლობელი გახდეთ?! გააქტიურდით! აქციის დასასრულს, ვინც ყველაზე მეტ "ბილაინი"-ს სასაუბრო დროს დააგროვებს -

10 000 ლარით დაჯილდოვდება!

შეაგროვე 1 და 2 ლიტრიანი ბოთლის თავსახურები და მიიღე საჩუქრები

დააგროვე
150 წუთი
300 წუთი
600 წუთი




ცხელი ხაზი: 238 74 64
www.facebook.com/ChernikovskoesSachukrebi

ქართული სპორტი

ლიცენზიატი. სოსო ჯაბიძე. ბ/რ ჭიდაობა

# ფსიქოლოგიურად გატეხილი ვიყავი, მაგრამ დარჩია სულ მაიმედებდა

**დაიბადა:** 1987 წლის 14 აგვისტოს ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში.

ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი (2010), საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

**მწვრთნელები:** ვაჟა კრავეიშვილი, ბეგი დარჩია.

**ჰობი:** ავტომანქანები.

ოლიმპიადის დებიუტანტი



**სოსო ჯაბიძემ** სადებიუტო ტურნირზე გამოიჩინა თავი - 2010 წელს ბაქოში პირველად იჭიდავა ევროპის ჩემპიონატზე და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, თუმცა მას შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი ჩავარდნა დაეწყო. ბერძენ-რომაელთა ნაკრების წევრთა უმრავლესობის მსგავსად, გაზაფხულზე ბელგრადში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მასაც „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა და აშკარად მოუმატა, რაც ჩინეთში ლიცენზიის მოპოვებით დაგვირგვინდა.

ჭიდაობა მშობლიურ ბაღდათში დაიწყო, სადაც თავდაპირველად **გოგი და თემურ ვაშაყმაძეები** ავარჯიშებდნენ, მოგვიანებით კი დაოსტატება დედაქალაქში გააგრძელა. რა მოხდა მის ცხოვრებაში პირველი წარმატების მერე და რამ გამოიწვია ის ჩავარდნა, როგორ ემზადება და რა განწყობით ხვდება ლონდონის ოლიმპიადას, ამაზე თამაშების დებიუტანტი ფალავანი თვითონ მოგვითხრობს.

- ჭიდაობაზე 9 წლის ასაკში მამამ მიმიყვანა, რომელიც ფეხბურთელი იყო, თუმცა ჭიდაობა ძალიან უყვარდა - გვითხრა სოსო ჯაბიძემ. მას ბიძაშვილი ჰყავდა მოჭიდავე - კახა ჯაბიძე, რომელიც ჯერ საქართველოს სახელით ახალგაზრდებში გახდა ევროპის მედალოსანი, მერე კი უკრაინის სახელით გამოდიოდა. ეტყობა, მისი გავლენაც იყო, ჭიდაობაზე რომ მიმიყვანა, მაგრამ მეც მომწონდა, ბავშვობაში სხვა სერიოზული გატაცება არ მქონია. არც ვარჯიში მეზარებოდა და დღემდე ასე ვარ - თუ ტრავმა არ მაქვს, დღეს არ ვაცდენ. 2001 წლიდან თბილისში ვვარჯიშობ.

**- ნაკრებში სადებიუტო ტურნირშივე მოიპოვეთ წარმატება - დღემდე ერთადერთი ჯილდო მთავარ გუნდში, მაგრამ მას მერე ჩავარდნა დაგეწყოთ. ეს რისი ბრალია?**

- მაშინ ბაქოში რუსთა ოლიმპიურ ჩემპიონ ასლანბეკ ხუშტოვთან წავაგე, მაგრამ მერე დამამშვიდებელში ორი წრე გავიარე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. სამწუხაროდ, იმის შემდეგ ტრავმები დამეწყო და ის ჩავარდნაც ამან გამოიწვია - შარშან მხრის და ფეხის კუნთი ორივე ერთად გამიწყდა და მთელი 5 თვე, სექტემბრიდან იანვრამდე, არ მივარჯიშია. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ფორმაში ვიყავი, მაგრამ ისევ რუსთან - რუსტამ ტოტროვთან წავაგე დამატებითში, რაც ჩემი ბრალია. მესამე პერიოდში შევცდი, როცა ჩოქბჯენში ჩემი არჩევისას დაცვაში ჩადგომა ვარჩიე. არადა, პირველ პერიოდში ჩემს მისვლაზე 10 წამში დავატრიალე ორქულიანზე. მესამეშიც მე რომ მივსულიყავი და დაცვა არ ამერჩია, ვფიქრობ, დავატრიალებდი, მაგრამ ახლაც არ ვიცი, რატომ ავირჩიე ასე. შეიძლება, ცოტა ზედმეტად თავდაჯერებულიც ვიყავი და მჯეროდა, რომ დავიცავდი თავს. საერთოდ, იმ ჩემპიონატს შევხვდი ზედმეტად დარწმუნებული. მჯეროდა, რომ ჩემპიონი გავხდებოდი, რადგან კარგად ვიყავი მომზადებული. ამისი იმდენად მჯეროდა, რომ წილისყრა არც მინახავს, ვინ მერგო მეტოქედ და როგორ ბადეში მოვხვდი. ნომერში გურამ ფერსელიძესთან ერთად ვიყავი და იმასაც ვუთხარი, არ მაინტერესებს, ჩემპიონი ვხვდები-მეთქი. პირველი შეხვედრაც რომ მოვიგე, ისე ვიყავი, თითქოს არც მეჭიდავა, მასაჟიც არ გამიკეთებია. ტოტროვთანაც რეალური იყო მოგება - პირველი პერიოდი 2:0 მოვიგე, მეორეში იმან აიღო 2-ქულიანი, მაგრამ ერთი ქულა სწრაფადვე გავუქვითე, მეტის გასაკეთებლად კი დრო აღარ მეყო, ვერ მოვასწარი შეტევა, ხოლო დამატებითში ჩემივე შეცდომით დავმარცხდი. ზონის გარეთაც შემეძლო გაყვანა, მაგრამ რატომღაც გავჩერდი. თუ რატომ, ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სამომავლოდ გაკვეთილად გამომადგება, დიდი სიმწარე განვიცადე.

**- ალბათ, ამის შემდეგ სალიცენზიო ტურნირისთვის ფსიქოლოგიურად მომზადება ორმაგად ძნელი იქნებოდა...**

- აქ რომ ჩამოვედი, ფსიქოლოგიურად გატეხილი ვიყავი, მაგრამ დარჩია სულ მაიმედებდა, ლიცენზიას აუცილებლად აიღებ, ოღონდ ცოტა მოუმატეო. მაგრამ მწვრთნელები ისე მომიდგნენ და ისე განმაწყვეს, ერთ კვირაში განვაახლე ვარჯიში. წაგებით ბევრი წამიგია, მაგრამ მაშინ მართლა კარგად ვიყავი მზად და გული იმიტომ დამწყდა ისე ძალიან. თან, ტოტროვი მერე გერმანელ ოლივერ ჰესლერთან დამარცხდა, იმან კი ბრინჯაოსთვის შეხვედრა უკრაინელ სერგეი რუტენკოსთან წააგო. არადა, ევროპამდე ორი თვით ადრე რუტენკოს 5:0; 7:0 მოვუგე. არც დავღლილვარ, ისე ვაჯობე. ამიტომ უფრო დამწყდა გული, თუმცა ჩინეთში სალიცენზიო ტურნირზე მაინც უნდა მეჭიდავა. იქ აზერბაიჯანელთა სახელით მოასპარეზე შალვა გადაბაძესთან წავაგე, თუმცა - მსაჯთა დახმარებით, მერე კი სანუგეშოში ჩავერთე და საგზურისთვის გამართული უშუალო ორთაბრძოლა 2009 წლის უნგრელ მსოფლიოს ჩემპიონ ბალასც კისის მოვუგე.

**- ბოლო ხანებში ფიზიკურად მოუმატეთ. ეტყობა, მწვრთნელები საგანგებოდ გავარჯიშებენ, თუმცა მათი მოსწავლეები ამ კომპონენტში ყოველთვის გამოირჩეოდნენ.**

- საგანგებოდ არ ვვარჯიშობ. უბრალოდ, ფიზიკურად ბავშვობიდანვე დიდი ვიყავი, ცოტა მსუქანიც კი, ხოლო დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მოვუმატე.

**- თუმცა ლეიბზე მხოლოდ ფიზიკური ძალის იმედად ვერ იქნებით...**

- ილეთებზეც ბევრს ვმუშაობთ და გვაქვს რამდენიმე ფანდი, რომლებზეც საგანგებოდ ვემზადებით.

**- საოლიმპიადოდაც?**

- ოლიმპიადამდე ახალს და აქამდე უცნობს ვერ გამოვიგონებთ, მაგრამ არის ნაცნობი 2-3 ილეთი, რომლებსაც საგანგებოდ ვამუშავებთ - წელში შესვლა, წამოქაჩვით ტრიალი, კისრული. იმედია, ოლიმპიადაზეც გამოგვივა.

**- ვარჯიში ცოტა გვიან დაიწყეთ. ხართ სადღეისო მოთხოვნების შესაბამის ფორმაში?**

- ტრავმების გამო ვარჯიში მართლაც შედარებით გვიან, ორი კვირის წინათ დავიწყე - მაგრამ უკვე ვიტვირთები ლეიბზე. ცხადია, ფორმაში ჯერ არ ვარ, თუმცა მწვრთნელები მაიმედებენ, რომ საოლიმპიადოდ პიკზე ვიქნები. იმედია, გერმანული ტურნირიც ძალიან დამეხმარება. საერთოდ, სპორტსმენი შეჯიბრებებით შედის ფორმაში, რასაც, ვიმედოვნებ, შევინარჩუნებ და მორიგი შეკრების ბოლოს უკვე მივუახლოვდები ოპტიმალურ ფორმას.

**- ამბობენ, ოლიმპიადა გამორჩეული ტურნირიაო და თქვენ როგორი განწყობით ხვდებით?**

- ოლიმპიადაზე ყველას ოცნება ოქროს მოპოვებაა. მათ შორის - ჩემიც, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობ. ყველაფერს გავაკეთებ ამის ასახდენად, თუ ღმერთმაც ინება. ყოველ შემთხვევაში, მე მაქსიმუმს გავაკეთებ საამისოდ.

**- ძირითად კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- ბელარუს ტიმოფეი დზიაჩენკოს, რუს რუსტემ ტოტროვს და სომეხ ევროპის მოქმედ ჩემპიონ არტურ ალექსანიანს. ცხადია, სხვებიც ძლიერები არიან, მაგრამ დანარჩენთაგან მაინც ამ ტრიოს გამოვარჩევ.

**ირაკლი თავაძე**

ხალხური სახეობები



მარცხნიდან პირველი ვახტანგ ზოიძე

# სირიმის ბრინჯაო ბუსანიდან

მსოფლიოს ხალხთა ტრადიციულ ჭიდაობებში ქართული ჭიდაობა კაშკაშა ვარსკვლავია. ამას უცხოელი სპეციალისტებიც აღიარებენ...

ბოლო პერიოდში მომრავლდა სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციულ ჭიდაობებში საერთაშორისო შეჯიბრებები და მსოფლიოს პირველობებიც კი.

ალბათ დადგება დრო, როდესაც ქართული ჭიდაობაც გავა საერთაშორისო სარბიელზე. მანამდე კი ჩვენი ფალავნების სხვათა ჭიდაობებში მოპოვებული მედლები მივითვალოთ...

კორეულ ეროვნულ ჭიდაობა **სირიმში** მსოფლიოს ჩემპიონატი ახლახან გაიმართა სამხრეთ კორეის ქალაქ ბუსანში, 27 ქვეყნის მონაწილეობით. მათ შორის საქართველოს ქამრიანი ჭიდაობების ფედერაციაც იყო წარმოდგენილი ხუთი მონაწილით (ორი ქალი, სამი ვაჟი).

სირიმი ღია ცის სარბიელზე, წრიულ ქვიშიან მოედანზე იმართება და უამრავ თაყვანისმცემელს იზიდავს. ყველა ჭიდაობა ერთმანეთს ენათესავება სირიმიც რაღაცით წაგავს ჩვენს ტრადიციულ ჭიდაობას...

კორეაში, სირიმის მსოფლიოს ჩემპიონატზე მძიმე წონაში (130 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბათუმელმა **ვახტანგ ზოიძემ. გიორგი კობერიძე** კი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ქართველი მოჭიდავეების გამოსვლას აზიაში სიხარულით შეხვდნენ და მომავალ შეჯიბრებებზეც მიიპატიჟეს საასპარეზოდ...

**გაბრიელ ბარჯაძე**

რეგიონი. ინტერვიუ გია ბერუაშვილთან

# ქარელი ქართულს აძლიერებს

**ქარელის რაიონს სამამულო სპორტის განვითარებაში ტრადიციულად ძირითადად საჭიდაო სახეობებით შეჰქონდა და შეაქვს თავისი წვლილი. სპორტის ეს სახეობა ჩამორჩენილი აქ არასდროს ყოფილა. ახლა აქ ზონალური და ქვეყნის პირველობების ჩატარებაც აღარაა უცხო. ვესაუბრებით ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელს, გია ბერუაშვილს.**



- ქარელის რაიონში სპორტის საყრდენი კერა ბავშვთა სასპორტო სკოლაა. თუმცა უყურადღებოდ არც უფროსი ასაკის მოჭიდავეები გვრჩება. ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ გორსა და თბილისში განაგრძო დაოსტატება, საქართველოს პირველობებზე ჩვენ ვაფინანსებთ და ჩვენი რაიონის ღირსებას იცავენ. წარმატების შემთხვევაში მათ წახალისებაც არ აკლიათ. მაგალითად, წლეულს, ახალგაზრდებში ლაშა გიუნაშვილი და უფროსებში გიორგი გასიტაშვილი დავაჯილდოეთ საქართველოს პირველობებზე მიღწეული გამარჯვებებისათვის. ორივე მოჭიდავეა. გვეზრდება შესანიშნავი მომავალი თაობა. ქართულ ჭიდაობაში 2000 - 2001 წწ დაბადებულთა შორის ზონალურ პირველობაზე, სადაც შვიდი რაიონი მონაწილეობდა, 24 საპრიზო ადგილიდან 12 ქარელელ მოზარდებს ხვდათ წილად.

**- თქვენ წლების მანძილზე ამ მხარეში ქართულ ჭიდაობაში გამართული შეჯიბრებების უმთავრესი ორგანიზატორი იყავით და რაიონში სპორტის ხელმძღვანელად თქვენი დანიშვნა დიდწილად, ალბათ, სწორედ ამ სახეობას წაადგა.**

- ცხადია, არა მხოლოდ ჭიდაობის განვითარებაზე ზრუნვა მევალება, მაგრამ რაშიც ეს მხარე ძლიერია, ლოგიკურია, მეტი ყურადღება დაეთმოს. ამასთან, მოგეხსენებათ, საქართველოში მხოლოდ ბერუაშვილების და დავითაშვილების გვარშია ერთზე მეტი საქართველოს ფალავანი. შესაბამისად ჭიდაობის სიყვარული მეც გენში მაქვს. ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის მწვრთნელად 1988 წელს აგარაში დავიწყე მუშაობა. ქართულ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ეროვნული კატეგორიის არბიტრი ვარ. მიმაჩნია, რომ თუ ბავშვმა ჩვენი ეროვნული ჭიდაობა კარგად იცის, ძიუდოს ათვისებაც გაუადვილდება, სამბოსიც და თავისუფალი ჭიდაობისაც. ამჟამად ქართულ ჭიდაობას ყველაგან ვასწავლით, სადაც ძიუდოსა და სამბოს ჯგუფები გვაქვს. ქართულის სპეციალიზებული სექცია გვაქვს სოფელ ხვედურეთში. სპორტის სამინისტროს ინიციატივით მალე დვანშიც ავამოქმედებთ ასეთ სექციას. პარალელურად სხვა ჩოხიან სახეობებს იქაც შევასწავლით, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ჯგუფები ძირითადად ქართულზე იქნება ორიენტირებული.

**- ალბათ, სოფლად ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებიც გახშირდება...**

- აუცილებლად. ამ შაბათს ბებნისში ვიწვევთ მეზობელი რაიონების ფალავნებს. სოფლებში მაყურებელი არენასთან პირდაპირი მნიშვნელობითაც ძალიან ახლოსაა და ხალხში ქართული ჭიდაობის დიდი სიყვარული ამითაცაა განპირობებული. 1996 წლიდან, ყოველ ზაფხულს ჩემს მშობლიურ სოფელ ფცაში ვატარებ შეჯიბრებას და დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ უმრავლესობას, ვისაც საქართველო საზღვარგარეთ უსახელებია, ფცის ნახერხზე უჭიდავია. მათ შორის არიან, ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურები.

**- ქარელში ჩოხიანი ჭიდაობის სამივე სახეობაც (ქართული, ძიუდო, სამბო) კარგადაა განვითარებული და თავისუფალი ჭიდაობაც, მაგრამ ბერძნულ-რომაულმა ვერაფრით მოიკიდა ფეხი.**

- ტრადიცია არ არსებობს და ადგილობრივი მწვრთნელიც არა გვყავს. მოწვეულ სპეციალისტს კი განსხვავებული პირობების შექმნა სჭირდება.

**ვასილ ბალახაძე**

*დავით ასპანიძის ფოტო*

წიგნის თარო



# ახალი წიგნი ოლიმპიადამდე

სეოკის იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღანელმა **რევაზ რობაქიძემ,** რომელიც ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებასთან ერთად ახორციელებს პროექტს „სპორტი და ოლიმპიზმი, სპორტის მოყვარულებს კარგი საჩუქარი მოუმზადა. მისი ავტორობით გამოიცა უხვად ილუსტრირებული და, რაც მთავარია, ინფორმაციულად მდიდარი წიგნი „ოლიმპიური თამაშები და ქართულ ასპარეზობათა ქრონიკები", რომელშიც თანამედროვეობის ყველა ოლიმპიადაა მიმოხილული, მათ შორის ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ცალკე თავი ეთმობა 2015 წელს თბილისში გასამართავ ევროპის ოლიმპიურ ფესტივალს. ავტორის თქმით, წიგნის გამოშების იდეა პროექტ „სპორტი და ოლიმპიზმის ფარგლებში" ქუთაისის სპორტსკოლებში ჩატარებული ვიქტორინის - „ვინ უკეთ იცნობს ოლიმპიური თამაშების ისტორიას" შემდეგ დაებადა. „აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმრავლესობა სპორტის ისტორიის შესახებ მწირ ინფორმაციას ფლობდა. მათთან ჩავატარეთ ლექციები ოლიმპიზმის თემაზე, შემდეგ კი გამოცემის იდეაც დაგვებადა. ვფიქრობ, სპორტის მოყვარულებს და ახალგაზრდა სპორტსმენებს წიგნი დააინტერესებს, ოლიმპიურ თამაშების ისტორიაზე მეტი ეცოდინებათ", - აღნიშნა რევაზ რობაქიძემ.

კრივი

# ორი ქართველი ნახევარფინალში

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გრძელდება ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 10 წარმომადგენელი ჩაება. უკვე გაუწყეთ, რომ 48 კილოში **შოთა ვაჩაძემ** პირველი წრის შეხვედრა მოიგო,მაგრამ მეორეში რუს სულეიმან ბატოვთან დამარცხდა და შეჯიბრებას ჩამოშორდა. პირველივე პაექრობების შემდეგ მისი ბედი გაიზიარეს **ბადრი წიფურიამ** (46), **ლაშა გურულმა** (50), **აჩიკო ტურავამ** (57), **თეიმურაზ ჩხეიძემ** (60) და **ბექა დანელიამ.** 52 კილოში **გიორგი ცისკარიშვილმა** ჯერ ალბანელ ზენელის სძლია - 11:6, მერე ფრედ (8:8) დაამთავრა ორთაბრძოლა ინგლისელ მაკგრეილთან, მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა ჩვენებურს მიანიჭეს. მეოთხედფინალში ცისკარიშვილი ერთი ქულით დამარცხდა (5:6) სომეხ ერიკ პეტროსიანთან და მანაც მაყურებლებში გადაინაცვლა, როგორც 75 კილოში **შოთა ხაბურძანიამ** (პირველ წრეში მან ფრანგი ეზედინ ბენ ნასერი დაჯაბნა), რომელსაც მაგომედ მაგომედოვმა (რუსეთი) აჯობა. სამაგიეროდ, გაგვახარეს **ნუკრი ადამიამ** (63) და **რატი ტლაშაძემ** (70). ჩვენმა ბიჭებმა ნახევარფინალში გააღწიეს და, სულ მცირე, ბრინჯაოს მედლები დაიბევეს: ადამიამ ერიკ ჟერმაკი (პოლონეთი, 14:11) და ოგუსკან ოზთურქი (თურქეთი, 13:11) დაამარცხა, ტლაშაძემ ანდრეი არადოას (რუმინეთი, 17:9) და ადამ ტოდის (უნგრეთი, 13:8) სძლია. დღეს ქართველი მოკრივეები ბულგარელებს - ზდრავკო პოპოვსა (63) და ივაილო ივანოვს (70) დაუპირისპირდებიან.

ჭადრაკი

# ჯავახაძე სრული სვლით


ნანი უნაფქოშვილი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. 43 მონაწილეს შორის ზურაბ ჯავახაძე ერთადერთია, რომელიც უდანაკარგოდ მიიწევს წინ. გუშინ მან შავი ფიგურებით გიორგი ნიკოლაშვილი დაამარცხა. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ლევან ბრეგაძე, ირაკლი ბერაძე, ალექსანდრე ებრალიძე, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი და ნინო ხომერიკი,რომელმაც გუშინ ნოე თუთისანს მოუგო.

გოგონებში ნანი უნაფქოშვილი ყოჩაღობს. მე-4 ტურში მან ერთ-ერთ ფავორიტ ანა შამათავას აჯობა და 3,5 ქულას მოუყარა თავი. ანა კუჭავას 3 ქულა აქვს, ხოლო შამათავას, ნატო იმნაძესა და დეა გოგიშვილს - ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები.

წყალბურთი

# ოლიმპიკში - თბილისის თასზე

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დღეს 16.00 საათზე საზეიმოდ გაიხსნება წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი - „თბილისის თასი", რომელშიც, როგორც გაუწყეთ, ჩვენი ქვეყნის ორ ნაკრებთან ერთად ბელარუსები და პოლონელებიც ჩაებმებიან. წინა ორ წელიწადს მთავარი პრიზი მასპინძლებმა მოიპოვეს. პირველი ნაკრები, ცხადია, თასის შესანარჩუნებლად იბრძოლებს. გუშინ მწვრთნელებმა - **ზვიად დავითიანმა** და **მირიან ასათიანმა** გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელეს: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო იელაჩა, მარკო ელეზი, ბექა კაპანაძე, გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე, ანდრია ბითაძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, რევაზ იმნაიშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ალექსანდრე ნამორაძე, ბექა ქენქაძე, გიორგი გაბადაძე, გურამ კოტარია, ლუკა კახეთელიძე, ალექსანდრე რუსიშვილი და დამირ ცრეპულია.

როგორც ვხედავთ, ნაკრებში 4 ნატურალიზებული წყალბურთელია, რომლებიც ევროპის უძლიერეს კლუბებში თამაშობენ. მე-2 ნაკრები მთავრესად ახლაგაზრდული შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ეროვნული ნაკრები ევრპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება, რომელიც შემოდგომით გაიმართება. ჯგუფში ჩვენებს მომდევნო ეტაპის ორი საგზურისთვის თურქები და ბელარუსები გაუწევენ მეტოქეობას. ამდენად, სლავების ხილვა „თბილისის თასზე" იმადაც ღირს, რომ მათი შესაძლებლობები შევაფასოთ.

დღეს 17.00 საათზე ბელარუსები და პოლონელები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, 18.30 საათიდან კი საქართველოს პირველი და მეორე ნაკრებები ითამაშებენ.



იუბილე. ძალა ქართული!




# გამარჯვებულები არ აყვინჩილებულან

**ქართული სპორტის ისტორიაში 1962 წლის 29 ივნისი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი: 50 წლის წინათ თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ჟენევაში მადრიდის „რეალს" სძლიეს და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.**

შემთხვევითი არ ყოფილა ეს გამარჯვება - ქართველი კალათბურთელები წლების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ მწვერვალისაკენ. რვა ათეული წლის წინათ შექმნილი „დინამო" საკავშირო სარბიელზე 1937 წელს გამოჩნდა და პირველი დღიდანვე მეტოქეებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ჩვენმა გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია: სამ-სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და საკავშირო თასი. 50-იანი წლების მიწურულიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-2 სპარტაკიადა: საქართველოს კალათბურთელებმა მაშინ მე-2 ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, ჩვენმა გუნდმა (**გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანზორ ლეჟავა, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, გურამ აბაშიძე, ილარიონ ხაზარაძე, ვალერი ალთაბაევი, თამაზ კაკაურიძე**) სახელოვანი მწვრთნელის - **გიორგი ავალიშვილის** ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებით (ვალდმანისი, კალნინში, მუიჟნიეკსი, კრუმინში, გულბისი, დავიდისი) დაკომპლექტებული ლატვიის ნაკრები დაამარცხა, თანაც მესამე დამატებით ხუთწუთიანი მონაკვეთის ბოლო წამებზე ქართული კალათბურთის ღირსებას 4-4 პერსონალური საჯარიმოთი სამი დინამოელი (აბაშიძე, კაკაკურიძე, ალთაბაევი) იცავდა ხუთი ბალტიისპირელის წინააღმდეგ. მატჩი ქართველებმა 88:86 მოიგეს. ეს გაუგონარი ამბავი ლეგენდად იქცა და საბჭოეთის ფარგლებსაც გასცდა.

1958 წელს ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" ევროპის კალათბურთელთა საკლუბო გუნდებისთვის დააწესა სპეციალური პრიზი - „ვერცხლის კალათა". ეს საპატიო ჯილდო ზედიზედ ორჯერ რიგის არმიელებმა მოიპოვეს. 1960 წელს შეჯიბრებაში ბალტიისპირელებთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ქართველი კალათბურთელებიც ჩაებნენ. დინამოელებმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე ზედიზედ ჩამოიშორეს ბუქარესტის არმიის კლუბი (84:87, 90:68), თასის გათამაშების ორგზის ფინალისტი სოფიის „აკადემიკი" (76:64, 72:69) და ვარშავის „პოლონია" (88:65, 64:61), გადამწყვეტი პაექრობა კი რიგის არმიელებთან დათმეს (51:61, 62:69) და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

თბილისის „დინამომ" 1961 წლის საკავშირო ჩემპიონატზეც მეორე ადგილი დაიკავა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მოსკოვის არმიელები ავიდნენ, რომლებმაც იმავე წელს „ვერცხლის კალათაც" დაისაკუთრეს. სწორედ ამან განაპირობა ქართველთა მონაწილეობა ევროპულ ოდისეაში. მეორე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. მერვედფინალში სახელოვანი კალათბურთელის ოთარ ქორქიას შეგირდებმა ისევ რუმინელი არმიელები დაამარცხეს (77:76, 82:77), მერე მის გზას გაუყენეს თურქეთის „დარუშაფაკი" (80:67, 84:49), იმის მიუხედავად, რომ დინამოელებთან მატჩებისთვის თურქეთის ჩემპიონმა გუნდი ეროვნული ნაკრების წევრი ორი მაღალი კლასის მოთამაშით (ნეგრეთ იუიგუჩი, ჰაშიმულქუ იაქინი) გააძლიერა. ნახევარფინალში ქართველი კალათბურთელები ცსკა-ს დაუპირისპირდნენ. მოსკოვური ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ჩვენებმა 4 ქულის უპირატესობით (75:71) მოიგეს. საკავშირო ნაკრების წევრებმა - ზუბკოვმა, ტრავინმა, ვოლნოვმა, ასტახოვმა, ხარიტონოვმა, კორნეევმა, ლიპსომ და ბოჩკარიოვმა მეტოქის იერიშებს სათანადოდ ვერაფერი დაუპირისპირეს. ჩვენების გამარჯვებამ საკავშირო სპორტკომიტეტის მესვეურები შეაშფოთა. განმეორებით მატჩამდე არ შეწყვეტილა ტელეფონის ზარები - შეხვედრა უნდა დათმოთ, ცსკა უფრო გამოცდილი გუნდია და ფინალში საბჭოეთის ღირსებას უკეთ დაიცავსო. მუქარების მიუხედავად, ქართველ კალათბურთელებს ზურგის ჩვენება არც უფიქრიათ. თბილისში საკუთარი გულშემატკივრების მხარდაჭერით უფრო აზარტულად ითამაშეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს - 74:66.

საპატიო პრიზის მოპოვებამდე ერთი ბრძოლალა რჩებოდა, სწორედ რომ ბრძოლა, რადგან ფრანკომ სამეფო კლუბს - მადრიდის „რეალს", რომელმაც ფინალამდე მაროკოს „კასაბლანკას" (82:38, 84:46), იტალიის „ინისს" (80:82, 83:62), პოლონეთის „ლეგიას" (62:73, 100:71) და ლიუბლიანის „ოლიმპიას." (91:105, 69:53) სძლია, საბჭოთა კავშირში ჩასვლის უფლება არ მისცა და დინამოელთა მასპინძლობაზეც უარი თქვა. გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე - 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში გაიმართა.

მადრიდის „რეალის" ღირსებას ნბა-ს ორი მოთამაშე - ჰეიტაუერი (205 სმ) და მორისონი (203 სმ) - იცავდა. ეს ის ჰეიტაუერია, რომელსაც ამერიკაში ჯერი ლუკასთან ერთად კალათბურთის ვარსკვლავს უწოდებდნენ. ამის მიუხედავად, „დინამომ" ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე. გაზეთ „ლელოს" ფურცლებს შემორჩა მაშინდელი მატჩის მოკლე სტენოგრამა: „პირველი წუთი - ალთაბაევის ორი სროლა და „დინამოს" მიჰყავს ანგარიში - 4:0, მესამე წუთი - ხაზარაძის, ლუისის, ჰეიტაუერის და როდრიგესის სროლები - 6:6, მეხუთე წუთი - ესპანელები წინ გადიან - 12:8, მაგრამ ლეჟავას და მინაშვილის წყალობით ანგარიში თანაბრდება... ტაიმის შემდეგ 38:36 „დინამოს" სასარგებლოდ... შესვენების მერე: მესამე წუთი - 48:48. მეცამეტე წუთი - 70:66.; მეცხრამეტე წუთი - თამაში, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა. მოსეშვილმა და ინწკირველმა წერტილი დაუსვეს საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებას".

90:83 - ასეთი ანგარიშით მიაღწიეს ქართველმა კალათბურთელებმა წარმატებას და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს, რაშიც **ოთარ ქორქიას** ხელმძღვანელობით თავისი წვლილი შეიტანეს **გურამ მინაშვილმა, ვლადიმერ უგრეხელიძემ, ლევან მოსეშვილმა, ლევან ინწკირველმა, ვალერი ალთაბაევმა, ამირან სხიერელმა, ილარიონ ხაზარაძემ, ალექსანდრე კილაძემ, ანზორ ლეჟავამ, რეზო გოგელიამ** და **ალექსანდრ პეტროვმა,** რომელიც სპეციალურად ამ მატჩისთვის მოსკოვის „დინამოდან" დაიმატეს.

„ოცდაათი წელიწადია, თვალს ვადევნებ ევროპის კალათბურთელთა თამაშს, მაგრამ ასეთი საინტერესო ბრძოლა ჯერ არ მინახავს. „რეალი" ქარიშხალი და ტექნიკა იყო, „დინამო" - ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა", - განაცხადა მატჩის შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ულიამ ჯონსმა**.

ჟენევაში გამართულ მატჩს ესწრებოდა 82 წლის ემიგრანტი ქართველი მწერალი **გრიგოლ რობაქიძე,** რომელმაც თავის დას - **ლიდას** ორი წერილი გამოუგზავნა, რომლებშიც „რეალი" - „დინამოს" მატჩს იხსენებს: „ქართველები თამაშობდნენ: აუღელვებლად, შეწყობილად, მეტოდიურად - აქ სჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის: ოთარ ქორქიასი.

ესპანელებს ეტყობოდათ აღელვება, თამაშობდნენ უფრო ცალკეულად, არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვნად მომართებული.

მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული.

მაგარი.

...ქართველი კალათბურთელების გამარჯვება აქ, ჟენევაში ესპანელებთან შეჯიბრში ჩემთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი...

თუ პირველ ნახევარში 2 წერტით გაუსწრეს ჩვენებმა ესპანელებს, მეორე ნახევარში - 5-ით. ცეცხლი არა თუ მოაკლდათ, - პირიქით: კიდეც მოემატათ. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება: ბევრად, ბევრად მეტი უკანასკნელზე. როგორც ქართველი - მე მხრებში გავიმართე.

გამარჯვებულები არ „აყვინჩილებულან" გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გაჯობეთ!" ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ. დაუვიწყარი სურათია!..

გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს - გადავიფიქრე, შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი", გავივლე გულში (მიხვდებით - რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში"...

„ვიცოდით, რომ ჟენევის მატჩს ჩვენი სასიქადულო მწერალი გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა. ორთაბრძოლის შემდეგ სპორტის სასახლის ერთ-ერთ გასასვლელთან გველოდებოდა კიდეც, მაგრამ შეხვედრა ვერ მოვახერხეთ, რადგან კგბ-ს თანამშრომლებმა სხვა გასასვლელით გაგვიყვანეს. მაშინ სხვა დრო იყო", - მითხრა ერთხელ გურამ მინაშვილმა.

ჟენევის მატჩიდან დღემდე სწრაფად გაილია დრო. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი კალათბურთელების მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასი სამამულო სპორტის ისტორიაში საამაყო მიღწევათა გაუხუნარ გვირგვინად რჩება. ამ გამარჯვების შემოქმედთაგან დღეს ჩვენ შორის აღარ არიან გიორგი ავალიშვილი და ოთარ ქორქია, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანზორ ლეჟავა, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ვალერი ალთაბაევი, რევაზ გოგელია. „სამშობლო მათ სახელს სანთლებად აინთებს".

ჩემპიონთა თასის მოპოვების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მხნედ ეგებებიან ჟენევის მატჩის გმირები - გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ილარიონ ხაზარაძე და ამირან სხიერელი, რომლებიც კვლავაც სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად რჩებიან. ჯანმრთელობასა და სულის სიმხნევეს ვუსურვებთ ქართული „სპორტის რაინდებს".

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

# კალათბურთი

## საქართველოს ნაკრები. პრესკონფერენცია


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# რეფორმა...

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ შევიტყვეთ საქართველოს ნაკრების ახალი ნატურალიზებული კალათბურთელის ვინაობა, რომელიც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გაგვაცნო:

*- სანაკრებოდ ამერიკელი მოთამაშის ძიება შრომატევადი სამუშაო იყო. სწორედ ამიტომ გაიწელა ეს საქმე ივნისის ბოლომდე. თავიდან 9 კალათბურთელთან ვეწეოდით მოლაპარაკებას, რომელთაგან ნახევართან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ასეთთა შორის იყო დორონ პერკინსი. საბოლოოდ მწვრთნელთა შტაბმა იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით, კორი ფიშერი გადაწყვიტა. მას ქართული პასპორტი მალე გადაეცემა.*

პრესკონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ჟურნალისტების შეკითხვებს მუქი შრიფტით შემოგთავაზებთ.

**- აზერბაიჯანმა მადრიდის რეალელი ჯეის ქეროლი დაიმატა. ჩვენ რატომ ვერ ვახერხებთ ასეთი მაღალი დონის უცხოელების ჩამოყვანას?**

- აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრებებს შორის დიდი სხვაობაა. ჩვენ გაცილებით უკეთესი ადგილობრივები გვყავს. ნატურალიზაციისთვის კი ყოველთვის ისეთს ვეძებთ, რომელსაც გუნდთან შეწყობის პრობლემა არ ექნება, გააკეთებს იმას, რაც ნაკრებს სჭირდება. ჩვენ ამ ეტაპზე გამთამაშებელი გვინდა, რომლის ძიებაც დიდ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. პერკინსის გარდა მოლაპარაკებები გვქონდა აარონ ჯექსონთან, მაგრამ არც ეს ვარიანტი გამოვიდა. საქართველოს ნაკრებში თამაში უცხოელებს უმთავრესად იმიტომ სურთ, რომ ქართული პასპორტი მიიღონ, რაც საკლუბო საქმეში გამოადგებათ. თუმცა, ზოგიერთი მოთამაშე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მოლაპარაკებებზეც უარს აცხადებს და პასპორტიც აღარ სჭირდება...

**- ძლიერ ლეგიონერს სტიმულად შესაძლოა სათანადო ანაზღაურებაც უნდა.**

*- საქართველოს ნაკრებში კალათბურთელი ხელფასს არ იღებს. ჩვენთან მხოლოდ პრემიებია. ამიტომ, თუ უცხოელს გადავუხდით, ქართველებს რა ვუთხრათ?*

ფედერაციის პრეზიდენტის შემდეგ **იგორ კოკოშკოვის** ასისტენტმა **დავით უსტიაშვილმა** ილაპარაკა:

*- კორი ფიშერი კარგი კალათბურთელია, თურქეთის ძლიერ ლიგაში საშუალოდ 17.2 ქულას აგროვებდა. ვფიქრობ, იგი ჩვენს ნაკრებს სათანადოდ გამოადგება.*

მწვრთნელი გაახალგაზრდავების პროცესსაც შეეხო:


კორი ფიშერი

*- 2004 წლიდან ნაკრებში თაობათა ცვლა მოხდა და შედეგიც გამოიღო - ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. გუნდს გაახალგაზრდავება ახლაც სჭირდება, რაც დღეიდან უნდა დავიწყოთ, რათა ნაკრებს სათანადო ცვლა გაეზარდოს. ნიკა ცქიტიშვილმა, ვლადიმერ ბოისამა და ლაშა გამყრელიძემ საქართველოს ნაკრების წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანეს. ამჯერად მათ გარეშე ჩავატარებთ შესარჩევ მატჩებს.*

**- ნიკა ცქიტიშვილს კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა და ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, რომ იგი ეროვნულ გუნდში არ უნდა იყოს...**

- ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ. ახალგაზრდებს დღეს უნდა მივცეთ თავის გამოჩენის შანსი, რათა შემდეგში სრულფასოვნად ჩაენაცვლონ... წლეულს მძიმე ფორვარდის პოზიციაზე სერიოზული კონკურენციაა: ვიქტორ სანიკიძემ მთელი სეზონი ამ ამპლუაში გაატარა, ასევე სწრაფად პროგრესირებს თორნიკე შენგელია, იტალიის ჩემპიონატში შეცვლებზე თამაშში კარგად ერთვებოდა ნიკა მეტრეველი. ცქიტიშვილს, სავარაუდოდ, არასაკმარისი სათამაშო დრო ექნებოდა...

**კოტე ტულუშმა** დასძინა:

*- ამ საღამოს თორნიკე შენგელიას დრაფტი ელის. იგი ნიჭიერი კალათბურთელია და გვინდა უფრო მეტი ვათამაშოთ. ეროვნულ გუნდში რეორგანიზაცია გახდა საჭირო. გვინდა, ახალგაზრდა კალათბურთელებს თავის გამოჩენის შანსი მივცეთ, რაც მათთვის დამატებითი სტიმული იქნება.*

**- ლაშა გამყრელიძის არგამოძახების მიზეზიც გუნდის გაახალგაზრდავებაა?**

დავით უსტიაშვილი:

*- ჩამოვიყვანეთ უცხოელი, რომელიც გამთამაშებლის პოზიციას დაიკავებს, მას გიორგი ცინცაძე შეცვლის. ლაშა გამყრელიძე კი მესამე გამთამაშებელი უნდა ყოფილიყო...*

**- ზაზა ფაჩულიას თუ ელაპარაკეთ. ტრავმა ჯერ ვერ მოიშუშა?**

ბესიკ ლიპარტელიანი:

*- ზაზას წუხელაც ვესაუბრე. იგი შემოწმებას უახლოეს დღეებში გაივლის და, ვფიქრობ, ექიმები ვარჯიშის დაწყების უფლებას დართავენ. ზაზა ნაკრებს ცოტა მოგვიანებით შეუერთდება.*

**- ბესიკ ლეჟავა მართლაც კარგი კალათბურთელია, შარშანაც იმსახურებდა ნაკრებში გამოძახებას, თუმცა დისკვალიფიკაცია ჰქონდა. სასჯელის ვადა გაუვიდა?**

- დისკვალიფიკაციას ვადა შემოდგომით გასდის. თუმცა, იგი მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატზე ვრცელდებოდა. ასე რომ, ლეჟავას საქართველოს ნაკრებში თამაში შეუძლია.

## საქართველოს ეროვნული გუნდი

# ნაკრები არასწორად იწყებს!

ნაკრები არასწორად იწყებს! - ეს მხოლოდ ჩემი აზრი რომ იყოს, არც დავწერდი და მით უმეტეს, არც ძახილის ნიშანს დავუსვამდი. გუშინ საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე გვითხრეს: ნაკრებში **მარკიზ ჰეინსს** ევროპაში 2011 წელს გადმოსული **კორი ფიშერი** შეცვლის, ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევ ტურნირში გუნდის გაახალგაზრდავება გადავწყვიტეთ და არ გამოვიძახეთ **ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ლაშა გამყრელიძე** და **ვლადიმერ ბოისაო...**

ეს რომ შევიტყვეთ, ჟურნალისტები გაოცებულები დავრჩით - ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში საშუალოდ 5-ზე მეტ წუთს 10 კალათბურთელი თამაშობდა, რომელთაგან სამი სწორედ ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა და ლაშა გამყრელიძე იყვნენ. მათი გამოკლებით გვრჩება შვიდი კალათბურთელი. თუ ამ ათეულის ღირსეული შემცვლელი იყო, რატომ არ ენდობოდნენ, ან საერთოდ, რატომ არ აიყვანეს ნაკრებში? გადავხედოთ განვლილ საკლუბო სეზონს: ზემოხსენებული შვიდი კალათბურთელის გარდა ვინ ითამაშა გამყრელიძე ან ცქიტიშვილზე უკეთესად? ვფიქრობ, არავინ. რაც შეეხება ვლადიმერ ბოისას, განვლილი სეზონი სათანადოდ ვერ ააწყო, თუმცა მისი გამოცდილების კალათბურთელი გუნდს მაინც გამოადგებოდა.

გამოდის, რომ ნაკრებში ოპტიმალური შემადგენლობა არ შეკრებილა (ასეთია ჩემი აზრი). რატომ? ამ კითხვაზე პასუხად მწვრთნელები გაახალგაზრდავებაზე აქცენტირებას ასახელებენ, მაგრამ ლოგიკა მაინც არ ჩანს: შესაძლოა, 30 წელს გადაბიჯებული კალათბურთელი მასზე ათი წლით უმცროსით შეცვალო, მაგრამ გამყრელიძე ხომ ჯერ ასეთ ასაკში არ არის და კალათბურთს, ალბათ, მინიმუმ ოთხ-ხუთ წელიწადს კიდევ ითამაშებს.

ვის რა უნდა ჰქონდეს გაახალგაზრდავების საწინააღმდეგო, 18-19 წლის მოთამაშეები ნაკრებში აუცილებლად უნდა ვარჯიშობდნენ, უნდა ითამაშონ კიდეც, მაგრამ ისინი ნელ-ნელა უნდა შეეწყონ ეროვნულ გუნდს. ნაკრების მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** აღნიშნა კიდეც - ზოგიერთ ახალგაზრდას შესაძლოა თამაშმა არც მოუწიოს, გათვლას მომავალზე ვაკეთებთო. თუ არ ითამაშებენ, ხომ შეიძლებოდა ახალგაზრდები გუნდში ადაპტაციისთვის ეხმოთ და ოპტიმალური შემადგენლობის შეკრების მიზნით კიდევ სამი კალათბურთელი დარჩენილიყო?

ლოგიკურია, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ჟურნალისტებზე მეტად აღელვებს გუნდის ბედი და უკეთესად იცის რას აკეთებს. თუმცა ერთი შეკითხვა მაინც ჩნდება: თუ ნაკრებში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავდა, არ შეიძლებოდა ამერიკულ „ფინიქსში" სეზონის დასრულების შემდეგ (აპრილში) საქართველოში ჩამოსულიყო და ის კანდიდატები პირადად ენახა, ვის გამოძახებასაც აპირებდა? აგერ, რუსეთის ნაკრების თავკაცი **დევიდ ბლატი**, „მაქაბისთან" სეზონის დასრულებისთანავე მოსკოვში გამოცხადდა... სხვათა შორის, ნაკრებში გამოძახებულთაგან რვა კალათბურთელი უშუალოდ მოედანზე ბატონ იგორს არ უნახავს. ამას, ალბათ, ერთი გამართლება აქვს - საქართველოში მომუშავე ასისტენტებს ენდობა. მათ კომპეტენციაში ეჭვის შეტანა ნამდვილად არ ეგების, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგორ კოკოშკოვს სულ სხვა კალათბურთელი დაენახა ნაკრების მომავლად? ვთქვათ **ბექა ჩიკვილაძე**, რომელიც 1991 წელსაა დაბადებული და 44 ქულით (ერთი მატჩის მიხედვით) საქართველოს ჩემპიონატის რეკორდსმენია. ან **ბექა ბურჯანაძე**, რომელიც **მერაბ ბოქოლიშვილთანა** და **დუდა სანაძესთან** ერთად ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი მოთამაშეა, თუმცა ჯერ 18 წლისაა...

კიდევ ერთი თემა, რაზედაც დღესვე შეიძლება სკეპტიკურად ლაპარაკი - ნატურალიზებული კალათბურთელი. პრესკონფერენციაზე ფურცლები დაგვირიგეს, სადაც ფიშერის დოსიე ეწერა. გვარი რომ წავიკითხე, გამეხარდა - **დორ ფიშერი** ევროპაში გამოცდილი კალათბურთელია, მადრიდის „რეალისა" და „ბილბაოს" მაისურით ევროლიგაზე აქვს ნათამაშები, **მარკიზ ჰეინსს** ნამდვილად აჯობებს-მეთქი.

კარგად რომ დავუკვირდი, დორი კი არა, კორი ფიშერი ყოფილა: 1988 წელს დაბადებული, ევროპაში თამაშის ერთწლიანი გამოცდილებით (თურქულ „ანთალიაში" გამოდიოდა). საყოველთაო აღიარებით, ევროპის ჩემპიონატის წინ გამოუცდელი მარკიზ ჰეინსის ჩამოყვანა შეცდომად ჩაითვალა. გამოდის, რომ ერთი წლის შემდეგ იგივეს ვიმეორებთ. თუ წინასწარ ვიცით, რომ კორი გაამართლებს? პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა - ფიშერი სასტარტო გამთამაშებელი იქნება, ცინცაძე სათადარიგოო. რატომღაც არ მჯერა, რომ გიორგიზე ორი წლით უმცროსი, ახალ ატმოსფეროში მოხვედრილი ამერიკელი იმაზე მეტად გამოადგება გუნდს, ვიდრე ცინცაძე.

რით ახსნეს გამოუცდელი ამერიკელის ჩამოყვანა, ამაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს, რომლის გაცნობა ამავე გვერდზე შეგიძლიათ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**


ნიკა ცქიტიშვილი


ლაშა გამყრელიძე


ვლადიმერ ბოისა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

# მარიას ბულგარელთან გაუჭირდა

გუშინ, უიმბლდონზე მეორე წრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ორგანიზატორებს მეორე დღისთვის რამდენიმე მატჩის გადადებამ მაინც მოუწიათ.

მეორე წრეშივე სერიოზული მეტოქე ერგო ადგილობრივი პუბლიკის იმედს **ენდი მიურეის - ივო კარლოვიჩის** წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია, რაც გუშინ დამტკიცდა. ხორვატმა ბრეიკით დაიწყო მატჩი, თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა იყო შეხვედრაში, როცა ივომ მეტოქის მოწოდების აღება შეძლო. ენდიმ პირველივე სეტში ორი საპასუხო ბრეიკი გააკეთა და პარტია 7:5 მოიგო. მეორეში ბრეიკი არ ყოფილა - კარლოვიჩმა გაასწორა მოწოდება და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც 7:5 გაიმარჯვა. მაგრამ ამის შემდეგ, ბრიტანელმა საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა. ისევ ორი ბრეიკის წყალობით მან მოიგო მესამე სეტი, მეოთხეში კი ტაი-ბრეიკიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მამაკაცთა ტურნირის მესამე წრეში ერთი სუპერწყვილი მივიღეთ. ესპანელი **დავიდ ფერერი** ამერიკელ **ენდი როდიკს** შეხვდება. მართალია, ამ სეზონში არადამაჯერებელი თამაშის გამო, როდიკი კლასიფიკაციაში 30-ე პოზიციამდე დაქვეითდა, მაგრამ უიმბლდონს კარგ ფორმაში შეხვდა. ამაზე მეტყველებს გასულ კვირას ისტბურნის ტურნირზე გამარჯვება და უიმბლდონზე დამაჯერებლად გავლილი ორი წრე. გუშინ, ამერიკელმა სამ სეტში მოუგო გერმანელ **ბიორნ ფაუს**. ენდიმ მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება, 13 ეისი ჩააწოდა და ბადესთან 25 ქულა მოიპოვა.

ცუდი დღე ჰქონდა ორ განთესილ ჩოგბურთელს. მე-13 ნომერმა **ჟილ სიმონმა** ხუთი ბრეიკი გააკეთებინა ბელგიელ **ქსავიე მალისეს** და სამ სეტში წააგო - 4:6, 4:6, 6:7(5). იგივე ანგარიში დაფიქსირდა ნაკლებად ცნობილი ფრანგის **ბენუა პერისა** და უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** მატჩში. 23 წლის პერმა 11 ეისი ჩააწოდა და ოთხჯერ აიღო უკრაინელის მოწოდება, რისი წყალობითაც, კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მესამე წრეში.

**კეი ნიშიკორი** გახდა პირველი იაპონელი ბოლო 17 წლის განმავლობაში, ვინც უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა. ამისთვის მას საკმაოდ იოლი მატჩის ჩატარებამ მოუწია ფრანგ **ფლორან სერასთან**. მეტოქეები არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე - ნიშიკორიმ რვა ბრეიკი გააკეთა, სერამ - სამი. იაპონელმა 45 „ვინერსის" წყალობით მიაღწია საბოლოო უპირატესობას.

გუშინ, ცუდად არც მეორე იაპონელი **- გო სოედა** გამოიყურებოდა. მან მოახერხა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** ერთი სეტის აღება (6:1), მაგრამ მატჩის დანარჩენ მომენტებში სამხრეთამერიკელის კლასში უპირატესობა აშკარა იყო და ხუან მარტინმა ოთხ სეტში მოიგო. საინტერესოა, რომ მესამე წრეში დელ პოტრო და ნიშიკორი ერთმანეთში ითამაშებენ.

■ ■ ■

ქალებს შორის, ფავორიტთაგან ყველაზე მეტად **მარია შარაპოვას** გაუჭირდა. 2004 წლის ჩემპიონი ბულგარელ **ცვეტანა პირონკოვას** ეთამაშებოდა, რომელიც ყოველთვის კარგად გამოდიოდა უიმბლდონზე, აქ ბევრი ძლიერი მოთამაშე ჰყავს დამარცხებული, 2010 წელს ნახევარფინალში იყო და შარშან მეოთხედფინალში ითამაშა.

პირონკოვამ კინაღამ მორიგი სენსაცია მოახდინა. გუშინწინ დაწყებულ შეხვედრაში ბულგარელი ვალდებული იყო მოეგო პირველი სეტი, როცა 5:2 დაწინაურდა. მაგრამ მარიამ შემოაბრუნა თამაში და პირველი პარტია ტაი-ბრეიკზე მოიგო. მეორე სეტში რუსმა ბრეიკი გააკეთა და 3:1 დაწინაურდა, როცა შეხვედრა სიბნელის გამო მეორე დღისთვის გადაიდო. შარაპოვას ისევ გაუჭირდა თამაშში შესვლა, რითაც ბულგარელმა კარგად ისარგებლა და შეძლო ანგარიშის გათანაბრება, შემდეგ კი იყო მეორე ტაი-ბრეიკი და აქ უკვე პირონკოვას გაუმართლა.

როგორც აღმოჩნდა, ბრძოლა სწორედ აქ დასრულდა. ისევე როგორც წინადღეს, მარია ამჯერადაც გვიან შევიდა თამაშში და მესამე სეტში გაანადგურა მეტოქე - 6:0. საინტერესოა ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც შარაპოვას უკავშირდება - წელს მას ცხრაჯერ მოუწია მესამე სეტის ჩატარება და ცხრაჯერვე თავის სასარგებლოდ დაასრულა გადამწყვეტი პარტია.

ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენს უიმბლდონის ოთხგზის ჩემპიონი **სერენა უილიამსი**. ამერიკელმა ფანტასტიკურად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე უნგრელი **მელინდა ჩინკის** წინააღმდეგ. თამაში მან სამი ეისით გახსნა, სულ კი 10 ასეთი მოწოდება დაუგროვდა. გარდა ამისა, 44 მოწოდებიდან უილიამსმა 37 ქულა აიღო, მათ შორის პირველი მოწოდებაზე 28-დან 27 ქულა. შესაბამისად, სერენას მეტოქეს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია, თავად უილიამსმა კი ოთხი ბრეიკის ხარჯზე - 6:1, 6:4 მოიგო.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო **ვიქტორია აზარენკას** თამაში. შარშანდელმა ნახევარფინალისტმა 51 წუთში გაანადგურა შვეიცარიელი **რომინა ოპრანდი**. ბელარუსმა მხოლოდ ექვსი ბრეიკ-პოინტის შანსი მიიღო და თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებელი დააფიქსირა - ხუთჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ოთხივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია - 6:2, 6:0. აზარენკა მეშვიდედ თამაშობს უიმბლდონზე და მეექვსედ გავიდა მესამე წრეში. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები აქამდე ერთხელ შეხვდნენ - 2007 წელს გრუნტისაფარიან კორტზე და მაშინ შვეიცარიელმა 6:1, 6:1 მოიგო.


ვიქტორია აზარენკა

ერთი სეტის მშრალი ანგარიშით მოგება უიმბლდონის მოქმედმა ჩემპიონმა **პეტრა კვიტოვამაც** შეძლო. ჩეხი ბრიტანელ **ელენა ბალტაჩას** ხვდებოდა. პირველ სეტში გასეირნებას მეორე პარტიაში 3:0 დაწინაურება მოჰყვა, მაგრამ აქ მასპინძელმა გაიბრძოლა, მატჩში ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და დაეწია მეტოქეს, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ჩეხმა კონცენტრაცია შეძლო და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა საქმე.

ქალებს შორის ტურნირს არც ამჯერად ჩაუვლია სენსაციის გარეშე. 2007 წლის უიმბლდონის ფინალისტმა, რეიტინგის მეცხრე ნომერმა **მარიან ბარტოლიმ** 129-ე ჩოგანთან, ხორვატ **მირიანა ლუჩიჩითან** 4:6, 3:6 წააგო. ფრანგმა მხოლოდ ერთი ბრეიკი გააკეთა და სამჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. 30 წლის ლუჩიჩიმა მოწოდებაზე ბრწყინვალედ ითამაშა - მის ანგარიშზე 9 ეისი მოდის.

## II წრე

### კაცები

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 28)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 7:6(4), 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 17)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 7:6(4), 7:6(4), 3:6, 6:3; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ჟილ სიმონი (საფ, 13) 6:4, 6:4, 7:6(5); **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:4, 6:3, 4:6, 4:6, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-კენი დე შეპერი (საფ) 7:6(1), 6:2, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 30)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:3, 7:6(1), 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ, 19)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 7:5, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-გი სოედა (იაპ) 6:2, 6:3, 1:6, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 16)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:6(4), 6:2, 6:1; მილოშ რაონიჩი (კან, 21)-სემ კუერი (აშშ) 7:6(3), 6:7(7), 3:3 შეწყდა; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 7:5, 4:1 უარი; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 6:7(5), 6:2, 7:6(4); **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:7(3), 6:4, 6:1, 6:3; **ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:7(4), 3:6, 6:3, 6:4; **დავიდ გოფენი (ბელ)**-იესე ლევინი (აშშ) 4:6, 6:4, 6:1, 6:3; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-ჯეიმს უორდი (ბრიტ) 6:3, 5:7, 6:4, 6:7(3), 6:3; **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:0, 6:2, 6:4; **ბენუა პერი (საფ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22) 7:6(2), 6:4, 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27)**-მალეკ ჟაზირი (ტუნ) 6:1, 7:6(2), 6:1; რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-**ლუკაშ როსოლი (ჩეხ)** 7:6(9), 4:6, 4:6, 6:2, 4:6.

### ქალები

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6(3), 6:7(3), 6:0; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ, 28)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 7:5, 7:5; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 8)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 7:5, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 20)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 6:4, 6:7(3), 9:7; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:1, 6:4; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 25)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:4, 6:2; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-კიკი ბერტენსი (ჰოლ) 6:4, 6:4; **სარა ერანი (იტა, 10)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:1, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 2:6, 6:1, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 24)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:4, 6:4; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 31) 7:6(4), 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:0, 6:4; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ალიზ კორნე (საფ) 6:2, 6:1; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 4:6, 6:3, 8:6; **რობერტ ვინჩი (იტა, 21)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:4, 6:3; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 9) 6:4, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 7:6(3); **იულია გორგესი (გერ, 22)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 7:6(3), 6:2; ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 26)-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 7:6(7), 6:7(5) შეწყდა; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-რომინა ოპრანდი (შვეიც) 6:2, 6:0.

## უიმბლდონის ფაქტები და რეკორდები

- უიმბლდონის მონაწილეებს შორის ყველაზე ტანდაბალი იყო **სი ჯეი ჰოუპინგი**, რომლის სიმაღლე გახლდათ 145 სანტიმეტრი. ყველა დროის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე - 208 სანტიმეტრი სიმაღლის **ივო კარლოვიჩია**.

- უიმბლდონის ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონია **მარტინა ნავრატილოვა** - ის 46 წლისა და 8 თვის იყო მაშინ, როცა 2003 წელს, **ლეანდერ პაესთან** ერთად მიქსტი მოიგო.

- ტურნირის მსვლელობისას ყველაზე მაღალი ტემპერატურა - 34 გრადუსი 1976 წელს დაფიქსირდა.

- მეორე მსოფლიოს ომის დროს ბომბი დაეცა ცენტრალურ კორტს და ერთ-ერთი ტრიბუნა დააზიანა. არენა დღევანდელი სახით 1949 წლისთვის აღადგინეს.

- ყოველდღიურად უიმბლდონის თვრამეტივე კორტზე ათასზე მეტი სტასტისტიკოსი მუშაობს და ნებისმიერ სტატისტიკურ მაჩვენებელს აფიქსირებს.

- ამინდის მხრივ საუკეთესო იყო 1949 წელი, როცა ორი კვირის განმავლობაში მზე ანათებდა.

- მთელი უიმბლდონის განმავლობაში ჯამში 660 მატჩი იმართება.

- პირველი უიმბლდონის (1877) ფინალზე ბილეთი ერთ შილინგი ღირდა.

- 1967 წლიდან მოყოლებული („ღია ერა") უიმბლდონი მხოლოდ ორ ბრიტანელს აქვს მოგებული: **ენ ჯონსსა** (1969) და **ვირჯინია უეიდს** (1977). ბოლო ბრიტანელი მამაკაცი, ვინც უიმბლდონი მოიგო, **ფრედ პერი** გახლდათ. მისი ტრიუმფი 1936 წლით თარიღდება.

- უიმბლდონზე კვირა, ტრადიციულად, დასვენების დღეა. ისტორიაში მხოლოდ სამჯერ (1991, 1997, 2004) დაუშვეს გამონაკლისი და კვირას წვიმის გამო გადატანილი თამაშები ჩაატარეს.

- ტაი-ბრეიკი ექვსი წლის მოგონილი იყო, როცა ის პირველად გამოიყენეს უიმბლდონზე (1971).

- მონაწილეებისთვის აუცილებელი პირობაა თეთრი ფერის სპორტული ფორმით თამაში და ვარჯიში. რუსი **ანა კურნიკოვა** 2002 წელს სავარჯიშო კორტიდან გააძევეს იმის გამო, რომ შავი ფერის მოკლე შარვალი ეცვა.

- **გორან ივანიშევიჩი** უაილდ-ქარდის მქონე პირველი ჩოგბურთელია, ვინც ტიტულის მოგება შეძლო (2001).

- უიმბლდონზე ყველაზე მეტი ტიტული ამერიკელ ჩოგბურთელებს აქვთ მოგებული: 33 - მამაკაცებს და 54 - ქალებს. მეორე ადგილზეა ბრიტანეთი: მამაკაცები - 32, ქალები - 29.

- **ტიმ ჰენმანი** პირველი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც 1995 წლის ტურნირზე დისკვალიფიკაცია მიიღო. მორიგი შეცდომის შემდეგ გამწარებულმა ბურთი მოარტყა ბურთების მომწოდებელ გოგონას. მოგვიანებით მან დაზარებულს ყვავილები მიართვა და პატიება სთხოვა.

# ბორგი: ზედიზედ ორი უიმბლდონი ფანტასტიკაა

**უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი, ლეგენდარული შვედი ბიორნ ბორგი ბრიტანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ლაპარაკობს მიმდინარე ტურნირის სავარაუდო ფავორიტებზე, მამაკაცთა ჩოგბურთში არსებულ დღევანდელ მდგომარეობასა და მოახლოებულ ლონდონის ოლიმპიადაზე...**


ბიორნ ბორგი

**- დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ თანამედროვე მამაკაცთა ჩოგბურთი კრიზისშია. ადრე ტურში მთელი თანავარსკვლავედი გამოდიოდა - თქვენ, ლენდლი, მაკინროი... შემდეგ წამოვიდნენ ედბერგი, ბეკერი, ვილანდერი, სამპრასი, აგასი... კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება. დღეს კი მხოლოდ სამი გვარი გვხვდება ყურში - ჯოკოვიჩი, ნადალი, ფედერერი და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ტრიოსა და დანარჩენებს შორის დიდი უფსკრულია.**

- არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მამაკაცთა ჩოგბურთს კრიზისის ხანა უდგას: ნებისმიერ ტურნირზე ბევრ შესანიშნავ ჩოგბურთელს ვხედავთ. უბრალოდ, ამჟამად მართლაც სამი დიადი ჩოგბურთელი გვყავს. ჯოკოვიჩი, ფედერერი და ნადალი ერთმნიშვნელოვნად სხვებზე უკეთესები არიან. მაგრამ მათ უკან ნამდვილად არ არის ვაკუუმი, პირიქით - შესანიშნავი მოთამაშეები დგანან. რით არის ცუდი, მაგალითად, ენდი მიურეი? ყოველკვირა ტურნირი იმართება და თითქმის ყველგან რთულია წარმატების მიღწევა. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურენცია ძველებურად მაღალია.

ნებისმიერ ტურნირზე, უკვე პირველი რაუნდის შემდეგ სუსტებს ვერ იპოვით. და შორეულ ეტაპებზე გასვლისთვის შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და მაქსიმალურად დახარჯვაა საჭირო. მოკლედ, მამაკაცთა ტურში, ჩემი აზრით, არანაირი კრიზისი არ არსებობს.

**- ამჟამად უიმბლდონი მიმდინარეობს. ვის მიიჩნევთ მთავარ ფავორიტად?**

- ერთი ჩოგბურთელის დასახელება მიჭირს. ჩემი არჩევანი ორიგინალური არ იქნება, რადგან ჯოკოვიჩი, ნადალი და ფედერერი უნდა დავასახელო. ვფიქრობ, წლევანდელი უიმბლდონი საინტერესო უნდა იყოს მაყურებლისთვის და რთული - მონაწილეებისთვის. ტურნირის მეორე კვირა ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**- შეიძლება ითქვას, რომ უიმბლდონს ფაქტობრივად ახალი უიმბლდონი მოსდევს, ოღონდ ამ შეჯიბრებას სხვა სახელი ჰქვია - ოლიმპიური თამაშები, რომელიც ასევე ლონდონის ბალახის კორტებზე გაიმართება. თქვენ, როგორც უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი და ბალახზე თამაშის აღიარებული ოსტატი, როგორ აფასებთ ამგვარ კალენდარს?**

- მე მგონი ეს შესანიშნავია. უიმბლდონი - უდიადესი ტურნირია, რომლის მოგებაზე ნებისმიერი ჩოგბურთელი ოცნებობს. ხოლო, როცა ორ-სამ კვირაში ახალი ასეთი ტურნირი იწყება - ეს ფანტასტიკაა! მთელი ზაფხულის განმავლობაში ბევრ ბრწყინვალე ჩოგბურთს ვნახავთ - მოსაწყენად არ გვეცლება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი. NBA დრაფტი 2012

# დევისი და დანარჩენები

**2012 წლის დრაფტის წინ, ESPN-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ დებიუტანტების სია, რომლებსაც ტოპ-ათეულში მოხვედრის ყველაზე დიდი შანსი აქვთ. თითოეულ მოთამაშეს ანალიტიკოსების მცირე დახასიათება მოსდევს, რაც წესით საინტერესო უნდა იყოს კალათბურთის მოყვარულისთვის.**




ენტონი დევისი

## ენტონი დევისი

ცენტრი, 19 წლის

დრაფტის უეჭველი პირველი ნომერი, "მარტის საგიჟეთის" ჩემპიონი და საუკეთესო მოთამაშე. მიჩნეულია, რომ **დევისს** შეუძლია გახდეს თავისი მომავალი გუნდის მრავალწლიანი ლიდერი. უკვე დღეს მას NBA-ის ვარსკვლავად აღიქვამენ – სატელევიზიო შოუებისა და ფოტოსესიების სია, რომელშიც ენტონიმ ბოლო თვეებში მონაწილეობა მიიღო, ჰოლივუდის ნებისმიერ ვარსკვლავს შეშურდებოდა. გარდა ამისა, მისი კანდიდატურა სერიოზულად განიხილებოდა აშშ-ის ნაკრებში მომავალ ოლიმპიადაზე. ამასთან, ახალგაზრდა მოთამაშის აქტიური პიარი არანაირ უხერხულობას არ ქმნის და ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ხელს არ შეუშლის მას NBA-ში თავის გამოჩენაში.

**უპირატესობა:** ასეთი თვისებების მქონე მოთამაშეს ამერიკაში high motor-ს უწოდებენ – კალათბურთელი, რომელიც ერთი წუთით არ ჩერდება და შეუძლია თავისი ენერგია და განწყობა პარტნიორებს გადასცეს. სათამაშო თვისებებიდან გამოარჩევენ დაცვას, მოხსნებზე თამაშსა და დაყენებულ ტყორცნას.

**ნაკლი:** თავის პოზიციაზე სხვა კონკურენტებისგან განსხვავებით სიმაღლისა და წონის ნაკლებობა.

## ტომას რობინსონი

მძიმე ფორვარდი, 21 წლის

თუ "შარლოტი" არ მოისურვებს თავისი მეორე პიკის გაცვლას, მაშინ გუნდის არჩევანი სწორედ ამ კანზასელ ბიჭზე შეჩერდება. გასაგები მიზეზების გამო, ის ამ დრაფტზე მეორე "ბიგმენად" მიიჩნევა, ამასთან, ყურადღება გამახვილებულია სოლიდურ ფიზიკურ მონაცემებზე. იმავე დევისისგან განსხვავებით, რომელსაც კუნთის მასის მომატება სჭირდება, ორი წლით უფროსი ტომასი საჭიროებს არა ათლეტური, არამედ სათამაშო თვისებების დახვეწას. ამასთან, ყველას ახსოვს **კენეტ ფარიდის** შარშანდელი მაგალითი, როცა ეს კალათბურთელი ფონს არა თავისი სათამაშო ინტელექტით, არამედ სწრაფი ფეხებით, მაღალი ნახტომითა და აქტიურობით გადიოდა ფონს. თუმცა დადის ჭორი იმის შესახებ, რომ **მაიკლ ჯორდანმა,** შესაძლოა, რობინსონს **ჰარისონ ბარნსი** ამჯობინოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ კალათბურთელების სიას, რომელშიც ჯორდანი პოტენციალს ხედავს, ალბათ, ღირს მიენდოს ანალიტიკოსების უმრავლესობის შეფასებებს და კანზასელი მოთამაშე აირჩიოს.

**უპირატესობა:** ფიზიკური მონაცემების გარდა, მას გამოარჩევს მოხსნებისთვის ბრძოლა, აგრეთვე სწავლის სურვილი. ESPN წერს, რომ რობინსონს კარგი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც მას როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში თამაშს ასწავლის, მით უმეტეს, რომ ამისთვის ყველა მონაცემი აქვს.

**ნაკლი:** მისი პოზიციისთვის არასაკმარისი სიმაღლე, არ აქვს დაყენებული სროლა.

## ბრედლი ბილი

შემტევი მცველი, 19 წლის

მოთამაშე, რომელიც ერთნაირად კარგად თამაშობს სროლისა და გარღვევების დროს, NBA-ის ნებისმიერ გუნდს სჭირდება, განსაკუთრებით საშინელი შეტევის მქონე "ვაშინგტონის". ამიტომაც, ეს გუნდი თავის მესამე არჩევანზე ბილს ხელიდან არ გაუშვებს. თუმცა მხოლოდ დედაქალაქელები არ არიან დაინტერესებულნი ამ მცველით და სავსებით შესაძლებელია, რომ "კლივლენდი" "შარლოტისთვის" მეორე არჩევანის გამორთმევას სწორედ ამ კალათბურთელისთვის აპირებს.

**უპირატესობა:** დაყენებული სროლა, ფარქვეშ შესვლა, თვითდაჯერებული.

**ნაკლი:** არასტაბილურობა, საკუთარი თავისთვის სასროლი სიტუაციის შექმნის პრობლემა, გაუმართლებელი გადაწყვეტილებების მიღება, ასევე დასახვეწია ბურთის კონტროლი.

## ჰარისონ ბარნსი

მსუბუქი ფორვარდი, 20 წლის

ახალბედა ჯერ არ გადასულა NBA-ში და უკვე შეიგრძნო საყოველთაო ყურადღების მთელი სიმძიმე. ორი წლის წინ, სწორედ **ბარნსი** იყო დრაფტის სავარაუდო პირველი ნომერი, პრესა კი მას **ლებრონ ჯეიმსს** ადარებდა, მაგრამ ეს ბიჭი "გადაიწვა" მოლოდინის ტვირთით და ძალიან მოკრძალებული სეზონი ჩაატარა კაროლინაში. ამიტომაც გადადო მან დრაფტზე გასვლა. როგორც აღმოჩნდა, მისი ათლეტიზმი ახლოსაც ვერ მივიდოდა იმასთან, რასაც ლებრონი ლიგაში მოსვლამდე აჩვენებდა. მიუხედავად ამისა, ბარნსი მოხვდება დრაფტის ტოპ-ხუთეულში - ძირითადად, თავისი სროლის წყალობით, რომელიც დრაფტზე გასულ ნებისმიერ ტალანტს შეშურდება.

**უპირატესობა:** უკვე ნახსენები ტყორცნა ნებისმიერი დისტანციიდან, კარგი დაცვა.

**ნაკლი:** ძალიან ენდობა საკუთარ სროლას, სუსტი ფიზიკური ფორმა არ აძლევს საშუალებას გარღვევებზე გააკეთოს აქცენტი. ამასთან, არის შანსი, რომ ზედმეტი მოლოდინისგან ისევ "გადაიწვას" და ვერ გაიზარდოს სტაბილურ მოთამაშედ.

## მაიკლ კიდ-გილქრისტი

მსუბუქი ფორვარდი, 18 წლის

მომავალი დრაფტის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე და ბევრის აზრით, ყველაზე ენერგიულიც, რომელსაც შეუძლია საჭირო მომენტში აიყოლიოს გუნდი და გარდატეხა შეიტანოს თამაშში. სხვა საქმეა, რომ, როცა სტაბილურობაა საჭირო ქულების დაგროვების მხრივ, მისი ნდობა ნაკლებად შეიძლება, რადგან დიდი პრობლემები აქვს სროლასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ის იდეალური მეორე ნომერი იქნება (როგორც **უესტბრუკია დურანტის** ჩრდილში), მაგრამ მისგან მრავალწლიან ლიდერობას არ უნდა ველოდოთ.

**უპირატესობა:** სისწრაფე, ათლეტიზმი, კონტრშეტევებისას შესვლებზე თამაში, ენერგიულობა.

**ნაკლი:** ცუდი ტყორცნა, უნდა გაუმჯობესდეს ბურთზე კონტროლი.

## ანდრე დრამონდი

ცენტრი, 18 წლის

ძალიან ჰგავს "იუტას" შარშანდელ დებიუტანტს **დერეკ ფეივორსს**: შთამბეჭდავი ფიზიკური კონდიციები, კარგი ნახტომი და ბლოკი, მოხსნების შესრულება. თუმცა აბსოლუტურად "შეუხედავია" საკალათბურთო თვისებების მხრივ. ფეივორსი, შესაძლოა, ნანობს, რომ კიდევ ერთი წელი არ დარჩა კოლეჯში. შარშან ის "იუტაში" **ჯეფერსონისა** და **მილსეპის** ჩრდილში მოექცა. შესაძლოა, ასეთივე ბედი ელის **დრამონდსაც**. იმის გათვალისწინებით, რომ დრაფტიდან განაცხადის გატანა უკვე შეუძლებელია, რჩება იმედი, რომ მოთამაშე მოხვდება ისეთ მწვრთნელთან, რომელიც ამ ფორვარდში ნიჭს დაინახავს და საკმარის დროს დაუთმობს მისგან ღირსეული მოთამაშის შექმნას.

**უპირატესობა:** ათლეტიზმი, მოხსნებზე ბრძოლა, სიმაღლე, მაღალი პოტენციალი.

**ნაკლი:** არასტაბილურობა, შეტევაში სუსტი თამაში, ცუდი სროლა, საჯარიმოების გამოყენების დაბალი პროცენტი. მასში ხედავენ ცუდ თვისებას – იმისთვის, რომ მაღალი დონის მოთამაშე გახდეს, არასაკმარისად ბევრს მუშაობს.

## დემიენ ლილარდი

გამთამაშებელი, 21 წელი

დრაფტის საუკეთესო გამთამაშებელი. ექსპერტები აცხადებენ, რომ **ლილარდი** აუცილებლად მოხვდება ტოპ-ათეულში, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი კონკურენტი არ ჰყავს, ხოლო ისეთი გუნდები, რომლებსაც კვალიფიციური პირველი ნომერი სჭირდებათ, საკმაოდ ბევრია. თუ დემიენი მოხვდება ისეთ გუნდში, რომელიც მას სასტარტო ხუთეულში ჩასვამს, სავსებით შესაძლებელია, პირველივე სეზონში გაიხსნას.

**უპირატესობა:** ათლეტიზმი, დაყენებული სროლა, სისწრაფე, სიმაღლე, შრომისმოყვარეობა.

**ნაკლი:** კოლეჯში სუსტ დივიზიონში თამაშობდა, უფრო სუსტ მეტოქეებთან კი ხშირად ვერ აჩვენებდა მაღალ კლასს. საჭიროებს ბურთზე კონტროლის გაუმჯობესებას.

## ოსტინ რივერსი

შემტევი მცველი, 19 წლის

"ბოსტონის" მცველის **დოკ რივერსის** ვაჟი საკალათბურთო ოჯახში გაიზარდა და ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ უკეთებია – ეს არის კალათბურთი. და მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ჩემპიონი მწვრთნელია, ახალგაზრდა მცველი ხშირად ვერ დაიკვეხნის სწორი გადაწყვეტილებების მიღებით და ხანდახან ზედმეტს იღებს თავის თავზე. მიუხედავად ამისა, **ოსტინი** საკმაოდ ქარიზმატულია და ექსპერტთა აზრით, კლუბი, რომელიც მას დრაფტზე აირჩევს, თავის გადაწყვეტილებას არ ინანებს.

**უპრატესობა:** დაყენებული სროლა, ქარიზმატულობა, აქტიურობა, სროლის შექმნა თავისთვის და პარტნიორებისთვის.

**ნაკლი:** არასწორი გადაწყვეტილებების მიღება, დაცვაში სუსტი თამაში, ბევრი შეცდომა. ასევე მიუთითებენ მის ეგოისტობაზე.

## ჯერემი ლემბი

შემტევი მცველი, 20 წლის

მცველი, რომელიც ქულების მოხვეჭისთვის არის შექმნილი. თავისი სიმაღლის წყალობით, მას შეუძლია მეორე და მესამე ნომრად თამაში, ამასთან, თუ უნარიანი მწვრთნელი მოიძებნება, სავსებით შესაძლებელია **ლემბისგან** კარგი მცველი გაზარდოს. მიუხედავად ამისა, მას ჯერ ძალიან აკლია ფიზიკური ძალა იმისთვის, რომ თანაბრად ებრძოლოს NBA-ში თავის კონკურენტებს.

**უპირატესობა:** ცუდი ტყორცნა, შეუძლია შესვლებზე თამაში, სიმაღლე, ბრძოლისთვის მომართული.

**ნაკლი:** არასაკმარისად ათლეტური, ბევრ შეცდომას უშვებს. გარდა ამისა, უკვე არაერთხელ მიიღო შენიშვნა იმის გამო, რომ ბოლომდე არ იხარჯება ვარჯიშებზე.

## ჯონ ჰენსონი

მძიმე ფორვარდი, 21 წლის

ამ ფორვარდით დაინტერესებულნი იქნებიან ის გუნდები, რომლებსაც გასაუმჯობესებელი აქვთ საკუთარ სამწამიანში დაცვაში თამაში. ESPN გვაფრთხილებს, რომ **ჰენსონს** არ შეიძლება ვუწოდოთ ახალი **დიკემბე მუტომბო,** მაგრამ მისგან შეიძლება კარგი მცველის გაზრდა. ამისთვის მას ბევრი ფიზიკური ვარჯიში დასჭირდება, მაგრამ ამგვარი პრობლემები NBA-ის ყველა ახალბედას აქვს. მეორე მხრივ, მეტოქის ნახევარზე მისგან სარგებელს მხოლოდ შეტევაში მოხსნების მხრივ თუ ნახავენ – მას არ აქვს დაყენებული სროლა და არც ჯარიმების გამოყენების მაღალი პროცენტით გამოირჩევა.

**უპირატესობა:** სიმაღლე, დაცვაში თამაშის კარგი თვისებები, მოხსნებისთვის ბრძოლა.

**ნაკლი:** საჭიროა ფიზიკური მომზადების მომატება, სუსტი თამაში შეტევაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

## რაკეტების მორიგი გაცვლა

„ჰიუსტონ როკეტსი" ისევ აქტიურობს სატრანსფერო ბაზარზე. Yahoo!Sports-ის ინფორმაციით, „რაკეტებმა ცენტრი **სამუელ დალემბერი** და დრაფტის მე-14 არჩევანის უფლება გაუცვალეს „მილუოკის" მე-12 ნომრის არჩევანში. გარდა ამისა, „ჰიუსტონი" მიიღებს მცველ **შონ ლივინგსტონს** და ორ ფორვარდს - **ჯონ ლეუერსა** და **ჯონ ბროკმენს**.

როგორც უკვე ვწერდით, „როკეტსს" დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის სამი უფლება გააჩნია და მას „ორლანდოს" ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** ხელში ჩასაგდებად გამოიყენებს.

## პარკერმა კალათბურთი დატოვა

„კლივლენდის" მცველმა **ენტონი პარკერმა** ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

*„მე უკვე შევეგუე ამ აზრს და ვფიქრობ იმაზე, რა მელის მომავალში"*, - განაცხადა პარკერმა. ამ კალათბურთელმა NBA-ში ცხრა სეზონი გაატარა და საშუალოდ 9.1 ქულას, 2.3 შედეგიან გადაცემასა და 3.2 მოხსნას აგროვებდა.

გარდა ამისა, პარკერმა ექვსი სეზონი ითამაშა ევროპაში და სამჯერ მოიგო ევროლიგა თელ-ავივის „მაკაბის" შემადგენლობაში. ორჯერ ის ევროლიგის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს და ევროპის 50 საუკეთესო მოთამაშის რიგებში შეიყვანეს.

## სმიტი გასოლში იცვლება?

„ატლანტა ჰოქსმა", შესაძლოა, თავისი ერთ-ერთი ლიდერი, ფორვარდი **ჯოშ სმიტი** „ლეიკერსს" ესპანელ ცენტრში **პაუ გასოლში** გაუცვალოს, - წერს გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმსი".

ესპანელის მიმართ ასევე გამოთქვამს ინტერესს „მემფისი", რომელიც გასოლის სანაცვლოდ **ზაკ რენდოლფს** თმობს.

გასულ სეზონში სმიტმა „ჰოქსის" რიგებში 66 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 18.8 ქულა, 9.6 ქულა და 3.9 შედეგიანი პასი დააგროვა. გასოლის მონაგარი 65 მატჩში 17.4 ქულა, 10.4 მოხსნა და 3.7 პასი იყო.

## დერონი თავისუფალი აგენტია

„ბრუკლინ ნეტსის" ვარსკვლავურმა გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ გამოიყენებს მიმდინარე კონტრაქტში არსებულ პუნქტს და არ გაახანგრძლივებს კლუბთან ხელშეკრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ივლისიდან კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება.

გასულ რეგულარულში დერონი საშუალოდ 21.0 ქულას, 8.7 შედეგიან გადაცემასა და 3.3 მოხსნას აგროვებდა.

## კამინსი გარდაიცვალა

ნიუ იორკში 55 წლის ასაკში გარდაიცვალა NBA-ს ყოფილი ცენტრი **პეტ კამინსი**.

საუკეთესო საკალათბურთო ლიგაში კამინსმა 12 წელი ითამაშა, სახელი კი „ნიუ იორკ ნიქსში" გამოსვლისას გაითქვა. 1984-88 წლებში ის ლეგენდარული **პატრიკ იუინგის** მხარდამხარ თამაშობდა.

კამინსი 1978 წელს „მილუოკიმ" აირჩია დრაფტის მესამე რაუნდში. 1982 წელს „დალასში" გააგრძელა კარიერა. „ნიუ იორკის" შემდეგ კი „მაიამიში" და „იუტაში" გამოდიოდა.

NBA-ში ჩატარებულ 683 მატჩში ცენტრმა საშუალოდ 9.6 ქულისა და 5.6 მოხსნის დაგროვება შეძლო. მოთამაშის კარიერა მან 34 წლის ასაკში დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# ვალენსიაში გასწრება ისწავლეს



ვალენსიას ტრასამ, რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენი ტრეკის სახელი ჰქონდა, გასულ კვირას გაახარა ავტოსპორტის მოყვარული შთამბეჭდავი ბრძოლით. თუ ამ ქალაქში ჩატარებული ბოლო ოთხი ეტაპის დროს, მაყურებელმა ჯამში 47 გასწრება იხილა, 2012 წელს პილოტებმა ერთმანეთს 58-ჯერ გაუსწრეს. წელს, ევროპის გრანპრი ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ჩინეთის რბოლის შემდეგ, რომელშიც 72 გასწრება შესრულდა.

ყველაზე მეტი გასწრება **ლუის ჰემილტონისა** და **მარკ უებერის** ანგარიშზეა - ექვს-ექვსი წარმატებული შეტევა. ეტაპის გამარჯვებულმა **ფერნანდო ალონსომ** ხუთი გასწრება შეასრულა. ამდენივე ჰქონდა **მიხაელ შუმახერს**.

კვირას, ყველაზე მეტად "მერსედესის" პილოტი **ნიკო როსბერგი** დაიჩაგრა - ის რვაჯერ ჩამოიტოვეს უკან. მეორე ადგილზე იყო ამ მაჩვენებლით HRT-ის პილოტი **პედრო დე ლა როსა**, რომელსაც კონკურენტებმა ექვსჯერ გაუსწრეს.

| | |
|---|---|
| ავსტრალია | 30 |
| მალაიზია | 40 |
| ჩინეთი | 72 |
| ბაჰრეინი | 43 |
| ესპანეთი | 38 |
| მონაკო | 9 |
| კანადა | 35 |
| ევროპა | 58 |

# 8 წელი ქრთამის გამო

მიუნხენის სასამართლომ ყოფილი ბანკირი **გერჰარდ გრიბოვსკი** დამნაშავედ სცნო ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერისგან **ბერნი ექლსტოუნისგან** ქრთამის მიღებაში. რამდენიმე წლის წინ გრიბოვსკიმ ეს თანხა სამეფო რბოლების კომერციული უფლებების გაყიდვისას მიიღო და ახლა, 8.5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

შეგახსენებთ, თავად ექლსტოუნი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ გრიბოვსკისთვის თანხა ქრთამის სახით არ გადაუხდია. როგორც ბერნი ამბობს, ბანკირი მას ბრიტანეთის საგადასახადო სამსახურებში პრობლემების შექმნით ემუქრებოდა და ამის გამო იძულებული გახდა გრიბოვსკისთვის ფული გადაეხადა.

მაგრამ გუშინ გამართულ სასამართლოზე პროკურორმა თავის საბოლოო სიტყვაში ექლსტოუნს არა გამოძალვის მსხვერპლი, არამედ დანაშაულის თანამონაწილე უწოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალე ქრთამის მიცემაში, შესაძლოა, ბრალი 81 წლის პრომოუტერსაც წაუყენონ.


ბერნი ექლსტოუნი

● TV პროგრამა

**29 ივნისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-არსენალი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-შალკე.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-უდინეზე.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
00:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი.
14:15 სპორტ-NEWS.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
19:00 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
20:00 პოკერ-რინგი 2.
21:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ოთხთა ფინალი". ფინალი. ატლეტიკოკილი. კიოლნი. გერმანია.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი.
13:45 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. მიმოხილვა.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ცსკა-ხიმკი | 5:0 |
| რანდერსი-ოლბორგი | 0:2 |
| როსტოვი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| [illegible] | 0:3 |
| ერებრო-იურგორდენი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-ვაასა | 1:0 |
| იარო-ჰიკ | 2:2 |
| მარიეჰამნი-ჰაკა | 1:0 |
| იუვიასკიულა-ჰონკა | 0:1 |
| მიუპა-ინტერი | 4:0 |
| ტურკუ-კუოპიო | 3:0 |
| **არგენტინა** | |
| ინსტიტუტო-სან ლორენსო | 0:2 |
| **ჩილე** | |
| ო'ჰიგინსი-უნ. დე ჩილე | 2:1 |

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 19 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 19 | 26 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 28 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0455 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6369 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5586 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9847 |

● ჰოკეი

# ხელფასები გაიზრდება

## მაგრამ ლოკაუტის საფრთხე მაინც არსებობს



ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2012-13 წლების სეზონის წინ სახელფასო ბიუჯეტის ზედა ზღვარი გაიზრდება, - წერს გაზეთი „ტორონტო სტარი".

მოთამაშეთა პროფკავშირებისა და ლიგის ხელმძღვანელობის მოლაპარაკებებისას გადაწყდა, რომ სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი 70.2 მილიონი დოლარის ნიშნულამდე დაწესდება. ამასთან, მინიმალური თანხა, რომელიც ერთმა გუნდმა სეზონის განმავლობაში შეიძლება დახარჯოს, ჯერ განსაზღვრული არ არის.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში პირველად სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტი 2005 წელს შემოიღეს და თავდაპირველად წელიწადში 39 მილიონ დოლარს უდრიდა. 2011-12 წლების სეზონში ეს თანხა 64 მილიონს უდრიდა, ქვედა ზღვარი კი 48 მილიონი იყო (ერთი სეზონით ადრე, გუნდებს მოთამაშეთა ხელფასებზე წელიწადში 57.7 მილიონი დოლარის დახარჯვა შეეძლოთ).

2012-13 წლების სეზონის დაწყება 2012 წლის 11 ოქტომბრისთვის არის ნავარაუდები. რეგულარული ჩემპიონატი 2013 წლის 13 აპრილს დასრულდება.

ამასობაში, მოთამაშეთა პროფკავშირსა და ლიგას ჯერ არ გაუფორმებიათ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რამაც, შესაძლოა, ლოკაუტი გამოიწვიოს. ხელშეკრულება 15 სექტემბრამდე უნდა გაფორმდეს. თუმცა ორივე მხარის წარმომადგენლებმა ადრე განაცხადეს, რომ ახალი სეზონის ნაწილი, შესაძლოა, ძველი წესებით გაიმართოს.

● რალი

# ფოლკსვაგენი ორი მანქანით მოდის

გერმანული ავტოგიგანტის „ფოლკსვაგენის" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელმა **იოსტ კაპიტომ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2013 წელს გუნდი კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მანქანით იქნება წარმოდგენილი.

*„ამ მომენტისთვის ჩვენ მომავალი სეზონის სტარტზე ორი მანქანით გამოსვლას ვაპირებთ. შესაძლებელია მესამე მანქანის გამოყვანა, მაგრამ ეს ან 2013 წლის სეზონის მსვლელობისას ან 2014 წლის სეზონში მოხდება. რაც შეეხება პილოტების შემადგენლობას, რაიმე კონკრეტულის თქმა არ შემიძლია. ერთ-ერთი პილოტი, სავარაუდოდ, სებასტიან ოჟიე იქნება, მეორე კანდიდატურის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის"*, - ამბობს კაპიტო.

როგორც გერმანული პრესა ვარაუდობს, რალიში „ფოლკსვაგენის" მეორე პილოტი ცნობილი ფინელი **იარი-მატი ლატვალა** იქნება, რომელიც ამჟამად „ფორდის" ღირსებას იცავს.

● ოლიმპიზმი

# 80 პროცენტი გაყიდულია

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ბილეთების 80 პროცენტზე მეტი გაყიდულია.

დაახლოებით მილიონი ბილეთი მარტო გასულ თვეში გაიყიდა, ამასთან, გარკვეული ნაწილი სარეალიზაციოდ მხოლოდ ახლახან გამოიტანეს.

დღეისთვის, ოლიმპიადაზე დასწრების მსურველებს კვლავაც აქვთ საშუალება შეიძინონ ბილეთები სპორტის სახეობების უმეტეს ნაწილზე. ყველაზე მეტი ბილეთი დარჩენილია ფრენბურთში, კრივში, ძალოსნობასა და კალათბურთში, თუმცა ამ სახეობებშიც, უმეტესწილად, ყველაზე ძვირი ბილეთებია დარჩენილი.

BBC ასევე იტყობინება, რომ ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული საერთო შემოსავალი უკვე 600 მილიონ ევროს უტოლდება.

● კრივი

# მარკესის მეოთხე ტიტული

როგორც ვებგვერდი BoxingScene.com იუწყება, სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, 31 წლის პუერტორიკოელმა **მიგელ კოტომ**, შესაძლოა, მორიგი ბრძოლა ამა წლის პირველ დეკემბერს გამართოს. ამის შესახებ თავად მოკრივემ გამოაცხადა.

კოტოს არ დაუსახელებია შესაძლო მეტოქეები, თუმცა აღნიშნა, რომ განიხილავს ნებისმიერ რაციონალურ წინადადებას.

ბოლო ბრძოლაში პუერტორიკოელი მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დამარცხდა ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან** და დაკარგა პირველ საშუალო წონაში WBA-ის ტიტული. თუმცა სპეციალისტთა შეფასებით, კოტომ იმ ბრძოლაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მეივეზერმა კი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კოტოსთან ბრძოლა ყველაზე რთული იყო მის კარიერაში.

■ ■ ■

პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის დროებითი ჩემპიონი, 38 წლის მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** ამ ტიტულის სრულფასოვანი მფლობელი გახდა. ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ წინა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ტიმოტი ბრედლიმ** უარი თქვა ამ საჩემპიონო ქამარზე და WBO-ის ტიტული არჩია ნახევრადსაშუალო წონაში, რომელიც ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** ბრძოლის შემდეგ მოიპოვა.

ასე რომ, მარკესი გახდა მესამე მექსიკელი **ხორხე არსესა** და **ერიკ მორალესის** შემდეგ, რომელმაც ოთხ წონით კატეგორიაში შეძლო სრულფასოვანი ტიტულის მოპოვება.



მიგელ კოტო

● ცურვა

# ფელპსის რევანში

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** რევანში აუღო ამერიკის ჩემპიონატზე **რაიან ლოხტეს**.

400 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალში წაგების შემდეგ, ფელპსმა შეძლო თავისი მთავარი კონკურენტის დამარცხება 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. და ეს იმის მიუხედავად, რომ წინა დღეს, ნახევარფინალში უფრო სწრაფი ლოხტე გახლდათ.

ფელპსმა დისტანცია წუთსა და 45,70 წამში დაფარა და 5 მეასედით აჯობა კონკურენტს. მაიკლმა და რაიანმა უკვე ორ დისციპლინაში მოიპოვეს ლონდონის ოლიმპიადის საგზური.


მაიკლ ფელპსი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ყველა ევროფინალი


1960 წელი. სსრკ-იუგოსლავია 2:1


1964 წელი. ესპანეთი-სსრკ 2:1


1968 წელი. იტალია-იუგოსლავია 1:1 (2:0)


1972 წელი. გერმანია-სსრკ 3:0


1976 წელი. ჩეხოსლოვაკია-გერმანია 2:2 (პენ. 5:3)


1980 წელი. გერმანია-ბელგია 2:1


1984 წელი. საფრანგეთი-ესპანეთი 2:0


1988 წელი. ჰოლანდია-სსრკ 2:0


1992 წელი. დანია-გერმანია 2:0


1996 წელი. გერმანია-ჩეხეთი 2:1


2000 წელი. საფრანგეთი-იტალია 2:1


2004 წელი. საბერძნეთი-პორტუგალია 1:0


2008 წელი. ესპანეთი-გერმანია 1:0

?

2012 წელი

# ფეხბურთი ბუჩქებში

## ვიდრე ევროპაზე მოვხვდებოდით...

ჩვენც გვინდა ევროპა - ასე დავარქვი რუბრიკა „ტაიმლაინის" სტატიას, რომელიც ევრო 2012-ის დაწყებას მივუძღვენი. წარმოიდგინეთ, როგორ გაიხარებდა ქართველი ქომაგი ეროვნული ნაკრები ახლა უკრაინასა და პოლონეთში რომ თამაშობდეს. თუმცა ახლა, ალბათ, უკვე დასრულებული ექნებოდა ჩემპიონატი, რადგან პირველობას მხოლოდ ფინალისტები შემორჩნენ. ფინალს ვინ ჩივის, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა აქვს სანატრელი.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ მაინც საინტერესოა, რატომ ვერ ვხვდებით ევროპის ჩემპიონატზე? ამ კითხვაზე ირიბი პასუხი განვლილ უქმეებზე მივილე.

თბილისის გარეთ გავედი, რაიონში... მნიშვნელობა არა აქვს, რომელ რაიონში, რადგან საქართველოში ასეთი უამრავია. სალამოს ჰოლანდიის ნაკრების მაისურში გამოწყობილმა მეგობარმა ლობეზე თავი გადმოყო და ფეხბურთის სათამაშოდ დამპატიჟა. რა თქმა უნდა, იდეა მომეწონა, ძველი სპორტული ფეხსაცმელი ამოვქექე და „ჰოლანდიელს" გავყევი. გზად გუნდი შეიკრიბა და რაიონის ცენტრალური სტადიონისკენ გავეშურეთ. თავიდან, რომ მითხრეს, მთავარ არენაზე მივდივართო, გამიკვირდა - იქ ხომ ოდესლაც დიდი გუნდი თამაშობდა... არც მის სახელს აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან იდეურად ბევრს არაფერს ნიშნავდა, ერთი რაიონის გუნდს „მეცემენტე" ერქვა, მეორეს - „ტაქსომოტორი №3", მესამეს - „ხის დამამუშავებელი კომბინატი"...

მოკლედ, რაიონის ცენტრალურ სტადიონზე სათამაშოდ ხალისით გავემართე. გზად ორი მაღალი ახალგაზრდა დავინახე, რომლებიც ხელში კალათბურთის ბურთს ათამაშებდნენ.

- ესენი, ალბათ, კალათბურთის სათამაშოდ მიდიან, - დავასკვენი.

- აბა, სხვაგან სად წავლენ?!

- ჩვენც მათკენ ხომ არ გადაგვეხვია? კალათში მეც სიამოვნებით ვისროდი.

- რას ამბობ, იქ რა გვინდა?! - მოედანი კენჭებითაა სავსე, ბურთს ერთ მხარეს რომ დააგდებ, მეორე მხარეს გარბის. მხოლოდ „მინუს ხუთს" თუ ითამაშებს კაცი, - მითხრა ჰოლანდიისმაისურიანმა.

- ქალაქში სხვა მოედანი არ არის?

- მხოლოდ სკოლის დარბაზია. იქ კი ჩვენ არავინ შეგვიშვებს.

არ გამკვირვებია, რადგან კალათები თბილისის გარეუბნებშიც ჩამოტეხილია, „შემცვლელი" კი არ ჩანს.

მოკლედ, კალათბურთმა ჩაგვიარა. ფეხბურთით განვაგრძოთ. როგორც აღმოჩნდა, ჩვენს მშვენიერ რაიონში ერთადერთი ხელოვნური მოედანია, რომელიც გადატყავებულია და იქ ფეხბურთს ველარ ითამაშებ, მხოლოდ კენჭების სროლით თუ გაერთობა კაცი. სხვა გზა არ არის, ფეხბურთის თამაში თუ მოგინდება, უნდა მიაკითხო ცენტრალურ სტადიონს, რომელსაც ბოქლომი ედო, თუმცა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ლობე გადახსნილია და მოედანზე შესაძრომად ცოტა სისხარტე და მოქნილობაა საჭირო.

სტადიონზე ერთი გუნდი დაგვხვდა, მოედნის მეოთხედზე გამზადებულ ორ კარს შორის მოვექეცით და დავიწყეთ... ბურთს ტერფი მივუშვირე, მუხლამდე ატა, მაინც დავიმორჩილე, პასის გადაცემა ვცადე, მაგრამ აბუჩქებულ ბალახს დაეჯახა და მიმართულება შეიცვალა. თამაშის შემდეგ, მოედნის გარეთ მდგომმა ახლობელმა მისაყვედურა: კარის წინ ბურთი რომ მიილე, კენწვლა რატომ დაიწყე, ერთი შეხებით დაგერტყაო. ვერ დავარტყამდი, ბორცვები მცველებივით გადამელობნენ-მეთქი, ვიმართლე თავი.

პირველივე შესვენებისას ყველაზე მაღალ ბუჩქზე ჩამოვჯექი და მწვანემაისურიან ყოფილ ფეხბურთელს მივმართე:

- აქ ფეხბურთს როგორ თამაშობთ?

- ეჰ, სხვა გზა არ გვაქვს, გვიყვარს და ვცდილობთ ვითამაშოთ. ეს მიდამო ჩემთვის ძალიან ახლობელია - ცენტრალური მცველი ვიყავი და საჯარიმოს ხაზიდან მთელ მოედანს ვაკონტროლებდი. შემდეგ სწავლა ვარჩიე და ფეხბურთს თავი დავანებე.

ასეთი გადაწყვეტილება კიდევ უამრავმა ახალგაზრდამ მიილო, რომელსაც სპორტი გართობადღა შემორჩა.

გვარიანად რომ დავილალეთ, ახალგაზრდობა ერთად შეიკრიბა და არგენტინისფორმიანის იდეა მოიწონა - ლუდი მოვიმარაგოთ და ღამით ესპანეთი-საფრანგეთის თამაშს ერთად ვუყუროთო.

არა მგონია, დასკვნა საჭირო იყოს - ისედაც გასაგებია, რომ ზემოხსენებულ მშვენიერ ქალაქში ახალგაზრდობას მოედანი არ აქვს. არადა ფაქტია - თუ ფეხბურთი მასობრივ ხასიათს არ მიილებს, ვერც უკრაინას ვაჯობებთ და ვერც პოლონეთს, სადაც ისედაც ჩვენზე გაცილებით მეტი მცხოვრებია, ყველა საცხოვრებელ პუნქტში მოედანია მოწყობილი და შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელსაც დიდი არჩევანი აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608